გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 17
(11 883)

8 – 10 მარტი, 2005 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სარვამარტო მილოცვა ჩვენს ქალებს!

დღეს 8 მარტია, ქალთა საერთაშორისო დღე. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, პირადად ჩემი სახელით ამ ტრადიციულ დღესასწაულს სულითა და გულით გილოცავთ საქართველოს ქალ სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის მუშაკებს, სპორტის ქომაგებს. დიდია ქართული სპორტის წინსვლა-განვითარებაში თქვენი წვლილი. რჩეულებმა კი, სხვადასხვა დროს შორს გაუთქვეს სახელი დედასაქართველოს, რომელთა მემკვიდრეები დღეს ასევე თავდადებით ილვწიან ტრადიციების გასაღრმავებლად და გასამრავლებლად.

სპორტის დეპარტამენტი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ჯეროვნად დაფასდეს ქართული სპორტის ღვაწლმოსილი ადამიანების, მათ შორის, ქალთა ღვაწლი. ახალგაზრდობას ეძლევა ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის ფართო ასპარეზი, რომელთათვის უფროსი თაობის პატრიოტიზმი სამშობლოსათვის თავდადებული სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას, ახალ წარმატებებს ცხოვრებასა და საქმიანობაში.

დავით ნამგალაური,
საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

ნინო სალუქვაძე ვლუს სამაია



იდავა, იდავა ნინო სალუქვაძემ, თავისი გაიტანა და გაამართლა. ახლა თამამად შეიძლება ითქვას — თავისი პრინციპულობით **ნინო სალუქვაძემ** ჩვენში, ამ ეტაპზე მაინც, ნამდვილად იხსნა ტყვიის სროლა მოძულება-უყურადღებობისგან. ნინო, რომელმაც სპორტის ამ სახეობას მთელი თავისი ახალგაზრდობა შესწირა, არაერთ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა, სეულში კი ოქროს და ვერცხლის მედალი მოიპოვა, უკანასკნელ მოჰიკანად შეიძლება დარჩენილიყო თავადვე რომ არ ეყოჩაღა. რაც მთავარია, სპორტის დეპარტამენტის (თავმჯდომარე **დ. ნამგალაური**) და თბილისის მერიის სპორტის სამსახურის (უფროსი **გ. უდესიანი**) ახალი ხელმძღვანელობა ამოუდგა მხარში და ჩვენს ახალგაზრდებს ნინოსთან ერთად საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის შესაძლებლობა მიეცა. ამ დღეებში ერთი ასეთი შეჯიბრება — ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი — ტალინში გაიმართა, სადაც ნ. სალუქვაძესთან ერთად ჩვენს ნაკრებში გამოდიოდნენ **თამილა ასათიანი, ნინო უჩაძე, დარიკო სულაკაური** და **სერგი ჩიტაიშვილი**.

ჩვენებიდან პნევმატური იარაღიდან სროლაში რუსეთელ **სვეტლანა სმირნოვას** (390+101,7) შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა ნინო სალუქვაძე (387+98,3), მესამეზე კი სმირნოვას თანაგუნდელი **ოლგა კუზნეცოვა** იყო (385+99,7). ამავე პროგრამაში ასევე მეორე პრიზიორი გახდა ჩვენი სამეული — 1141 (სალუქვაძე — 387; ასათიანი — 378 და უჩაძე — 376), პირველი იყო რუსეთის ნაკრები — 1159 (სმირნოვა — 390; კუზნეცოვა — 385 და ნატალია პადერინა — 384), მესამე ადგილი პოლონელებს ხვდათ — 1141 (**ბეატა ბარციკოვი** — 385, **მიროსლავა საგუნი** — 380 და **სიავომირა შპეკი** — 276).

მსოფლიოში მეხუთე – ეს უკვე წარმატებაა

ფიგურული სრიალის ქართველი ოსტატი, 14 წლის **ელენე გედევანიშვილი** უკვე გაიცნო მსოფლიო სპორტულმა სამყარომ. წარსულში ცნობილი მოციგურავის ელენა ვოდორეზოვას შეგირდმა ქართველმა გოგონამ ამ დღეებში წარმატებით იასპარეზა კანადის ქალაქ კიჩენერში გამართულ იუნიორთა (19 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც ჩვენებური მონაწილეთაგან ყველაზე უმცროსი იყო. გედევანიშვილმა 38 ქვეყნის ლიდერებთან ასპარეზობაში საერთო ჩათვლაში V ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა თავისზე არა მხოლოდ ასაკით უფროსი, არამედ ტიტულებით გამორჩეული სპორტსმენები, რომელთა შორის იყვნენ კანადის სამივე, ამერიკის (1), რუსეთის (2) და ა.შ. წარმომადგენლები.

„გედევანიშვილი, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა იზრდება როგორც ნიჭიერი მოციგურავე, V ადგილი მსოფლიოში იუნიორთა შორის დიდი წარმატებაა. მას წილად ხვდა ბედნიერება ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალზე გამოსულიყო საჩვენებელი გამოსვლით რჩეულთა შორის. ვულოცავ ელენეს და მის მწვრთნელს ასეთ წარმატებას“ — უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს საქართველოს ფიგურული სრიალის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, სპორტის ამ სახეობაში პირველმა ქართველმა სპორტსმენმა **ირაკლი ჯაფარიძემ.**

სეოკ-ის მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს ულოცავს საქართველოს ყველა თაობის ქალ ოლიმპიელებს, ჩემპიონებს და პრიზიორებს, სპორტის მუშაკებს.

ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის** პრეზიდენტი გადადგომას აპირებს და ამ თანამდებობის დასაკავებლად იწვევს ახალ კანდიდატს, ვისაც ძალუძს ელემენტარული პირობებით უზრუნველყოს სპორტის ამ სახეობის განვითარება ქვეყანაში.

◆ **ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი დინამო** დღეს, 12 საათზე, თავის ოფისში აწყობს „დინამოს“ აღორძინების პრეზენტაციას.

◆ **საქართველოს კალათბურთის ფედერაცია** იტყობინება, რომ გუნდებში მოთამაშეთა დამატებების ვადები ამოიწურა 4 მარტის საღამოს 18 საათზე. გუნდები მიმდინარე ჩემპიონატს მხოლოდ იმ კალათბურთელებით დაასრულებენ, რომლებიც შეყვანილნი არიან განაცხადში.

ბულგარეთიდან ორი მედლით



„რა ისმის სოფიადან?“ — შევეხმიანეთ გუშინ საღამოს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ცნობილ ვეტერან ფალავანს **თემურ ყაზარაშვილს**. სოფიაში **ნიკოლაი პეტროვის მემორიალზე** ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ასპარეზობდნენ. „ერთი მეორე და ერთიც მესამე ადგილი, ასეთია საბოლოო შედეგი“ — გვითხრა ბატონმა თემურმა და დასძინა, რომ მეორე პრიზიორი გამხდარა გორელი **ბესარიონ გუჩაშვილი** (55 კგ), ბრინჯაოს მედალი კი ქობულეთელ **კობა კაკალაძეს** რგებია. ავად გამხდარა **რევაზ მინდორაშვილი**, ტრავმა მიუღია **დავით ოთიაშვილს**.

ნომერშია:

- სტუდენტური სპორტის პრობლემები
- სოლიკო ხაბეიშვილის გახსენება
- გაიჯაზუნა თუ არა პარი „ტორპედომ“?
- ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი
- კოზიაშვილი – „შალკეს“ ლოკომოტივი
- კოლინა გვემშვიდობება
- მთავრდება შუმახერის ეპოქა?
- **საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი**

დარბაზში ყვავილების სურნელი ტრიალებდა

გუშინ სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში ქალთა საერთაშორისო დღესთან, 8 მარტთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა (თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**) და სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირმა (თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილი**) საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ქართული სპორტის საამაყო ქალბატონებს და სპორტის მუშაკებს. ვეტერან სპორტსმენთა შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები **მზია ჯუღელი, ქეთევან ლოსაბერიძე და ნინო სალუქვაძე.**

დარბაზში უამრავი ყვავილები, მათ შორის მიმოზა მოეტანათ. შეკრებილთ გულთბილად მიესალმა ი. ბეჟაშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია გალდავა**. 100-ზე მეტ ქალბატონს, ყვავილებთან ერთად, ფულადი ჯილდოც გადასცეს.

„ლელო“-„გუმათი“

«რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი?»

გამოხმაურება

დღემდე მიკვლეული მასალებით, საფეხბურთო გუნდები საქართველოში 1895 წელს ჩამოყალიბებულა

ჩვენში ფეხბურთს („ბურთაობას“) ძველთაგანვე მისდევდნენ. ამის ნათელი დადასტურებაა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა თბილისის ერთ-ერთი ტოპონიმის „საბურთალოს“ შესახებ, რომელიც უთუოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სხვადასხვა სპორტული ასპარეზობების, მათ შორის, „ბურთაობის“ გამართვას გულისხმობდა. თანამედროვე ქართული ფეხბურთის ჩასახვა კი დაკავშირებულია დიდუბეში არსებულ საჯირითოსთან, სადაც ცხენების დოღი იმართებოდა. შემთხვევითი როდია, რომ დიდუბე ადრე „ცხენის ტერფად“ იწოდებოდა. ასე მოიხსენიებენ ამ ადგილს ვახუშტი ბაგრატიონი და ქართველი მემატიანე ჯუანშერი. საინტერესოა, რომ თანამედროვე ქართულმა ფეხბურთმა სწორედ აქ,

იხ. მე-3 გვ.

რედაქტორის სვეტი

ფინანსები იურიდიულ სივრცეში

ხშირად გვესმის ამ ბოლო ხანებში ფედერაციების პრეტენზიები სპორტის დეპარტამენტის მისამართით. ზოგს სპორტის სტრატეგიული სახეობების დანარჩენებისაგან გამიჯვნა-გამოყოფა არ მოსწონს, მეტიც, აღშფოთებას ვერ მალავს ამის გამო, ზოგი ბიუჯეტიდან თანხების მიღების პროცედურის გართულებას უჩივის, ზოგი კიდევ რას. სტრატეგიულ სახეობათა დეფინიცია, ვაღიარებთ, მართლაც ბევრს ემწვავა და ეს განწყობა რედაქციაში შემოსულ კრიტიკულ წერილებშიცაა ასახული. ამაზე სხვა დროს. ამჯერად ბიუჯეტიდან სახსრების განაწილების პროცესზე და მის თანმდევ მოვლენებზე შევჩერდებით. უკვე კარგა ხანია, ყოველ შემთხვევაში, დამდეგი წლიდან, ერთგვარი აჟიოტაჟური მიდი-მოდი ხვდება ყველას თვალში დეპარტამენტში. ფულს ითხოვენ ფედერაციები, სავარაუდოდ თანხების მონიშვნა და ოფიციალურად შეჯერება-დაფიქსირება ახლა ხდება. ეს ოლიმპიური ციკლი დაიწყო თუ არა, წესისამებრ, ძირითადად დადგა ახალი არჩევნების დრო სპორტულ ფედერაციებში. როგორც არასდროს, ბოლო პერიოდში, ფედერაციის სათავეში მომსვლელთა არნახული კონკურენციაა მეტწილ სპორტის სახეობებში, განსაკუთრებით ისეთებში, პრესტიჟული რომ ეთქმით. ბევრ ფედერაციას სამართლებრივი სტატუსი და შიდამეურნეობა აქვს მოუგვარებელი, ფული, თანაც ბიუჯეტისა კი, ისეთი რამაა, ყველაფერში სიზუსტეს რომ მოითხოვს.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდანაა გამოყოლილი ფედერაციების პრეტენზიები სახელმწიფოსგან დაფინანსების აუცილებლობის შესახებ. დღეს სხვა ვითარებაა, ფედერაცია აღარაა სახელმწიფო სტრუქტურა, ანუ სპორტის ხელმძღვანელ ორგანოს პირდაპირ დაქვემდებარებული ორგანიზაცია. სამართლებრივად, ის საზოგადოებრივი, არასამთავრობო სუბიექტია და საჭიროებისამებრ, კანონის შესაბამისად იღებს სოციალურ დაკვეთას და ე.წ. პროგრამულ დაფინანსებას სახელმწიფოსგან. რამდენადაც ჩვენ ვხვდებით, სპორტის დეპარტამენტი თანხების გაცემას კი არ ართულებს, წესრიგს ამყარებს და აქედან გამომდინარე, ბევრი, საკუთარი შიდამეურნეობის მოუგვარებლობით, თავად იქმნის პრობლემას. ასეთი ფაქტიც ყოფილა: ნაკრები შეჯიბრებაზე მიემგზავრება, დეპარტამენტი ფულს იძლევა, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზები ართულებს საქმეს...

საფინანსო დისციპლინა ყველა დისციპლინაზე უმკაცრესი რამ არის.

ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს! იქნებ აჯობებდა, ფედერაციების იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე, საკუთარი შიდამეურნეობის მოსაწესრიგებლად სპორტის დეპარტამენტმა რაღაც სემინარის მსგავსი ღონისძიება ჩაატაროს ფედერაციებისთვის რეკომენდაციების მისაცემად.

მერაბ მეტრეველი: ქვეყნის მომავალი სტუდენტობაა, ჰარმონიულად განვითარებული სტუდენტობა!

მერაბ მეტრეველი. დოსიე:
დაიბადა 1962 წელს.

სწავლობდა: თბილისის მე-60, შემდეგ — 101-ე სკოლაში. 1983 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი — წარჩინებით.

პარალელურად დაამთავრა სპორტის აკადემია, იყო ხელბურთელი. სწავლობდა მოსკოვის საწარმო ძალთა საბჭოს ასპირანტურაში.

საქმიანობა: 1984 წლიდან მუშაობდა როგორც სპორტის სისტემაში, ისე ეკონომიკის ინსტიტუტში, ჯერ სპეციალისტად, შემდეგ უფროს სპეციალისტად,. განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. ხელბურთში მწვრთნელად იმუშავა 21 წელი. 1991 წლიდან იყო საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. 1992-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის სპორტის კომისიაში. 1997 წლიდან არის საქართველოს ოლიმპიური რეზერვის, სასწავლებლის დირექტორად, პარალელურად იყო სპორტის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში.

სპორტული მიღწევები და ჯილდოები: არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ხელბურთში; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ღირსების ორდენის კავალერი.

ინტერვიუერის დიალოგი გათვალისწინებული იყო ბატონ მერაბ მეტრეველთან, მაგრამ ჩვენს საუბარს შეესწრო ფედერაციის გენერალური მდივანი, ღვაწლმოსილი სპორტული მუშაკი, ბატონი ბივი მძელური, რომლის დასწრებამ და მონაწილეობამ, ვფიქრობთ, ჩვენს საუბარს გაცილებით მეტი შინაარსი შესძინა.

◆ *ბატონო მერაბ, დიდი ხანი არაა, რაც თქვენ საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტად აგირჩიეს. თუ არ ვცდები, ეს პირველი შემთხვევაა, როცა რომელიმე წამყვანი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის რექტორი არ აირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტად. შეიძლება თუ არა, ეს მიეწეროს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებს?*

— მოგეხსენებათ, ახლა მთლიანად იცვლება უმაღლესი სასწავლებლების კანონი. მიმაჩნია, რომ ეს იმ დროისათვის შეიძლება კარგი მომენტიც იყო, როდესაც რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის რექტორი იყო ფედერაციის პრეზიდენტი, მით უმეტეს მაშინ არსებობდა რექტორთა საბჭო და თავისთავად რექტორთა საბჭო განაგებდა ამ საკითხებს. დღეს ალბათ, უფრო უპრიანია, ნეიტრალური ადამიანი იყოს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ჩემი აზრით, ნელ-ნელა დგება ის დრო, როდესაც ქვეყანაში მხოლოდ რექტორის კეთილნებაზე არ იქნება დამოკიდებული თუ როგორი უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში სპორტის განვითარება, არამედ იმაზე, თუ რა იქნება საჭირო და რას მოითხოვს დრო.

◆ *თქვენთვის სპორტში, ასე ვთქვათ, არც უცხო და არც დაფარული არაფერია. ქვეყნის, მათ შორის, სტუდენტური სპორტის სამყარო კარგად გიცნობთ, გაქვთ ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება. როგორ ფიქრობთ, უფრო მეტი პრობლემები დაგ ხვდათ ახალ თანამდებობაზე მისვლისას, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო?*

იხ. მე-2 გვ.

მერაბ მეტრეველი: ქვეყნის მომავალი სტუდენტობაა, ჰარმონიულად განვითარებული სტუდენტობა!

პირველი გვერდიდან

— ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩართული ვიყავი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის საქმიანობაში. ორჯერ მივიღე მონაწილეობა უნივერსიადების დებულების შემუშავებაში, და უშუალოდ ღონისძიების ჩატარებაში. სიმართლე გითხრათ, პრობლემა ძალიან ბევრია. ჩვენ ავიღეთ ცოტა სხვა მიმართულება, აქცენტი გავაკეთეთ სტუდკავშირებზე, სტუდენტებზე და გამოცდილ სპეციალისტებზე სპორტული კათედრებიდან. მთელი ჩვენი ფედერაციის გამგეობა არის ჩამოყალიბებული იმ პრინციპით, რომ თითოეული უმაღლესი სასწავლებლიდან და რეგიონებიდან გვყავდეს სტუდკავშირის წარმომადგენელი, რადგანაც მოგეხსენებათ, სპორტი, ეს ძირითადად სტუდენტებთან მუშაობა და მათი გაჯანსაღებაა. ახლა უმაღლეს სასწავლებლებში რექტორების შეცვლის პერიოდია, რამაც მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიწვია. ჯერჯერობით რამდენიმე უმაღლესში რექტორი ჯერ კიდევ არ არის დანიშნული. მიდის პროცესი, რომელიც ერთი-ორი წელი გაგრძელდება და ეს პერიოდი ჩვენთვისაც ჩამოყალიბების წლები იქნება.

◆ *ცხადია, ყველა პრობლემას გაცილებით ადვილად მოევლება, თუ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა იქნება. საიდან, როგორ და რა წყაროებიდან ფინანსდება თქვენი ფედერაცია?*

— რაც შეეხება დაფინანსებას, ჯერ ერთი — საწევროების გადასახადებია მოსაწესრიგებელი. ადრე მთლიანად სახელმწიფოს შეჰყურებდნენ, იქნებ მოწყალება გაიღოსო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომაც უნდა გაიღოს თავისი წვლილი სტუდენტური სპორტის განვითარებაში და ეს ასეც იქნება. იცით, რომ სტუდენტური სპორტი, არა მარტო დიდი სპორტისთვისაა, იგი მასობრივი სპორტის და გაჯანსაღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მეორეს მხრივ, ჩვენც უნდა მოვიძიოთ შიდა რეზერვები და ვეძებოთ სპონსორები. არა მგონია, კარგი მენეჯმენტით ერთი-ორი სპონსორი მაინც ვერ მოიძებნოს, რომელიც თუნდაც საქართველოს უნივერსიადის დაფინანსებაზე მოგვეხმარება, იქნება ჩვენი პარტნიორი, ან გენერალური სპონსორი.

გივი მძელური: ჩვენი ფედერაცია არასოდეს არ იღებდა დაფინანსებას სპორტის დეპარტამენტის ბიუჯეტიდან. დღემდე ისიც არ არის გარკვეული, დაფინანსდება თუ არა ფედერაცია უნივერსიადაზე. შევიტყვე, რომ დეპარტამენტმა 14 სახეობა შეარჩია პრიორიტეტად და ჩვენი ფედერაცია ამ 14 სახეობაში არ არის შესული. სპონსორების მხრიდან დახმარებას, 1995 წელს მივაღწიეთ, როდესაც დელეგაცია უნივერსიადაზე გაემგზავრა. მას შემდეგ დიდი მასშტაბით დაფინანსება სპონსორების მხრიდან არ ყოფილა. ყველაზე მეტად გვეხმარებოდნენ უმაღლესი სასწავლებლები, თბილისის სახელმწიფო, ტექნიკური უნივერსიტეტები და სპორტის აკადემია.

◆ *ბატონო გივი, ცნობილია, რომ მსოფლიო სპორტულ ელიტას, ანუ ყველაზე მაღალტიტულოვან სპორტსმენთა უმეტესობას ჯიბეში სტუდენტის ბილეთი უდევს, ასეა ჩვენთანაც, რაშიც, ალბათ, დამეთანხმებით, მაგრამ სტუდენტებს აქვთ თავიანთი საერთაშორისო ასპარეზობა — მსოფლიო უნივერსიადა. ჯერ, თუ შეიძლება, სტატისტიკა გაგვაცანით, რა წარმატებებისათვის მიუღწევიათ საქართველოს სტუდენტ სპორტსმენებს, თუნდაც მსოფლიოს უნივერსიადებზე?*

— მსოფლიო უნივერსიადაზე მონაწილეობა პირველად 1995 წელს მივიღეთ. დიდი წარმატება არ გვქონია, დებიუტანტები ვიყავით, ალბათ, იმიტომ. 1997 წელსაც არ გვქონია წარმატებები. სამაგიეროდ, 1999 წლის უნივერსიადა ესპანეთში, მართლაც წარმატებული იყო ჩვენთვის. მეორე ადგილი დაიკავა პირად პირველობაზე, მძიმე წონოსანმა რამაზ ჩოჩიშვილმა ძიუდოში, ნესტორ ხერგიანი კი მესამე იყო. 2001 წელს ჩინეთში, გუნდში ზურაბ ზვიადაური გვყავდა. სამწუხაროდ, მას ტრავმა აწუხებდა და დრო არ ჰქონდა. ძირითადად წარმატებები მეტწილად გვაქვს ძიუდოში. ვახტანგ ხოსიტაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

2003 წელს მსოფლიო უნივერსიადა ჩატარდა სამხრეთ კორეაში, სადაც მეოთხე, მეხუთე ადგილები მოვიპოვეთ ძიუდოში.

◆ *რამდენადაც ვიცით, კარსაა მომდგარი სტუდენტთა წლევანდელი საერთაშორისო შეჯიბრებები, ხომ არ დააკონკრეტებდით, რა ასპარეზობებში მოუწევთ მონაწილეობა ჩვენს სტუდენტ სპორტსმენებს?*

მერაბ მეტრეველი: წლეულს, 16-21 აგვისტოს, უნივერსიადა გაიმართება თურქეთში, კერძოდ, იზმირში, სადაც სპორტის 16 სახეობის წარმომადგენლები იასპარეზებენ. შევარჩიეთ მძლეოსნობა, ცურვა, ფარიკაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, წყალბურთი, მშვილდოსნობა და თავისუფალი ჭიდაობა (ეს სახეობა მასპინძელი ქვეყნის თხოვნითაა დამატებული პროგრამაში ძიუდოს ნაცვლად). დარწმუნებულები ვართ, რომ კარგი შედეგები გვექნება იზმირში. ოლიმპიადის შემდეგ ეს უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებაა.

◆ *მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე გასვლამდე საუკეთესონი საშინაო შეჯიბრებებში უნდა შეირჩეს. მთავარი ასპარეზობა მაინც საქართველოს სტუდენტთა თამაშებია, რომელიც ადრე ტრადიციული იყო, რა მდგომარეობაა ახლა?*

გივი მძელური: ყოველთვის, მსოფლიო უნივერსიადის წინ, ვატარებთ საქართველოს უნივერსიადას, მაგრამ არასოდეს ჩატარებულა ქ. თბილისის უნივერსიადა.

მერაბ მეტრეველი: წლეულს ასეთი შეჯიბრება ჩატარდება. საქართველოს უნივერსიადის წინ მარტ-აპრილში ჩატარდება თბილისის უნივერსიადა. საქართველოს უნივერსიადა კი ჩატარდება შემცირებული პროგრამით წინა წლებთან შედარებით, მაგრამ უფრო მობილურად. სახეობებში, რომლებიც წელს ვერ მოხვდებიან უნივერსიადის პროგრამაში, ჩატარდება სტუდენტური ჩემპიონატები. ასე რომ, არც ეს სახეობები დაიჩაგრებიან.

◆ *ბატონო მერაბ, სფერო, რომელსაც თქვენ ჩაუდექით სათავეში, მხოლოდ დიდი სპორტით არ შემოიფარგლება. ძალზე მნიშვნელოვანია მასობრივი სპორტი, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია დევიზით: „სპორტი ყველასათვის". გეგმავთ თუ არა მუშაობის გააქტიურებას ამ მიმართებით?*

— რა თქმა უნდა. ახლა ჩვენ ძალიან დიდი ღონისძიებების ჩატარებას ვგეგმავთ ამ მიმართებით, ანუ გავზარდოთ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა. უნივერსიადაზე ყველა ვერ გამოვა, სამაგიეროდ, ჩავატარებთ შიდა საფაკულტეტო და ჯგუფებს შორის პირველობებს. შევეცდებით საინტერესო გავხადოთ მათთვის ეს შეჯიბრებები, ვგეგმავთ აგრეთვე, სპორტის სახეობებში სტუდენტური ასოციაციების შექმნას. მივმართავთ უმაღლეს სასწავლებლებს, რომ ყველგან შეიქმნას სპორტული კლუბი.

◆ *2005 წელი გაერომ „სპორტისა და ფიზკულტურული განათლების" წლად გამოაცხადა. გეგმავს თუ არა რაიმე ღონისძიებებს თქვენი ფედერაცია?*

— ეს არის აქცია, რომელიც ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანია. წლეულს სტუდენტური თამაშები ტარდება და უკვე გასაგებია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ცხადია, სპეციალური გეგმის მიხედვით გამოვეხმაურებით გაეროს მოწოდებას.

◆ *იქნებ დაგრჩათ რაიმე სათქმელი? გისმენთ!*

— ძალიან მოხარული ვარ, რომ გაზეთი „ლელო" ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სტუდენტურ სპორტს. „ლელო" ყოველთვის იყო ქართული სპორტის ავანგარდში ისტორიის მანძილზე და ახლაც, ამ გაჭირვების დროსაც. ძალიან დიდი თხოვნა მექნება, ყველა იმ ადამიანთან, ვისაც ხელეწიფება, გვერდში დაუდგეს ქართულ სტუდენტურ სპორტს, რადგან საქმე ეხება ერის გაჯანსაღებას, ქვეყნის მომავალი ხომ სტუდენტებზეა დამოკიდებული. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სულიერად და ფიზიკურად მათ ჰარმონიულად განვითარებას. ლაპარაკი არ არის მარტო ფინანსურ მხარდაჭერაზე. ეს საქმე კი ყველამ გულთან ახლოს უნდა მიიტანოს. აი ეს არის ჩვენი სურვილი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა „ლელოს".

ელენე კეჩხოშვილი

სოლიკო ხაბეიშვილი 70 წლის გახდებოდა

გუდაური — სოლიკო ხაბეიშვილის ახდენილი ოცნება



ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მდიდარი ფოტოარქივიდან რამდენიმე ფოტოსურათი ჩვენი მუდმივი თვალთახედვის არეშია. ეს იმ ადამიანების ფოტოებია, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით ქართული სპორტის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ბევრ მათგანთან, ვინც უკვე აღარ არის ამქვეყნად, პირადი ურთიერთობა მაკავშირებდა.

არასდროს ვყოფილვარ არც კომკავშირული, არც პარტიული მუშაკი, სოლიკო ხაბეიშვილთან მისმა უდიდებულესობამ სპორტმა დამაკავშირა.

მთამსვლელობით იყო გატაცებული ახალგაზრდობაში. სპორტის ეს მამაცური სახეობა თავის სამყაროში მხოლოდ ბუნებასავით სპეტაკ ადამიანებს იზიდავს — მთებში სიარული, მწვერვალზე ფეხშედგმა, იქიდან განჭვრეტა სამყაროსი, რჩეულებს თუ ხელეწიფება, ეს უდავოა.

თანაგუნდელების დიდბუნებოვნობაზე და სულიერ სიმტკიცეზე მთამსვლელები იშვიათად თუ ლაპარაკობენ, ერთ თოკში ჩაბმულთა რისკი და ნდობა თავადაა უსიტყვოდ მეტყველი.

ვინც სოლიკო ხაბეიშვილს ახლოს იცნობდა, იცის, რომ იგი ამ პრინციპის ერთგული დამცველი იყო ცხოვრებაშიც.

ჩვენ, გვიან, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შევხვდით პირისპირ ერთმანეთს. ის საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი იყო, მე — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. 1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება და შემდეგ მასში მონაწილეობა ჩემს ფუნქციებში შედიოდა.

ლეგენდები დადიოდა ჩვენს ახალგაზრდობაში სოლიკო ხაბეიშვილზე. ახლა დრომ, ახალმა დრომ მოიტანა ჩვენი თანამშრომლობა. საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, წარსულში სახელგანთქმულმა სამთომეთხილამურემ გერა აბრამაშვილმა წარმადგინა პირველად მასთან მისსავე ოფისში, რუსთაველის გამზირზე.

„ჩვენ ერთად დაგვეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა, — დამოუკიდებელი საქართველო პირველად წარმოვადგინოთ ოლიმპიურ თამაშებზე" — მითხრა იმ შეხვედრისას. რაც უფრო ახლოვდებოდა ზამთრის ოლიმპიადა, ერთმანეთს უფრო ხშირად ვხვდებოდით. ბევრი პრობლემა იყო მოსაგვარებელი, გამოცდილება კი არ გაგვაჩნდა. სეოკ-ის გენერალური მდივანი, აღიარებული ორგანიზატორი ემზარ ზენაიშვილი მუდამ მხარში გვედგა და მთელ სიმძიმეს ჩვენთან ერთად ინაწილებდა. ემზარს ჰქონდა მუდმივი კავშირი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან და ლილეჰამერში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებთან. ვგრძნობდით, რომ თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი ჩვენი ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს გულთან ახლოს მიჰქონდა. ამას აშკარად არ იმჩნევდა. მის დიდრონ თვალებში თუ ამოიკითხავდით ემოციებს. მერე ამგვარი განცდები, ოღონდ, ახლა უკვე სულ სხვა ვნების, ლილეჰამერის გაჩახჩახებულ ოლიმპიურ სტადიონზეც აკიაფდა ბატონი სოლიკოს გამოხედვაში.

წიგნში „საქართველოს ოლიმპიური ულელტეხილი" (თბილისი, 2004 წ.) ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ვწერ: „თამაშების საზეიმო გახსნის აღლუმზე დელეგაციის თითქმის სრული შემადგენლობით გავედით. არასდროს წაიშლება მეხსიერებიდან აწ განსვენებულ სოლიკო ხაბეიშვილის განცდები. ჩვენ გვერდიგვერდ მივაბიჯებდით აღლუმზე. ბატონი სოლიკო მალი-მალ მზერით მიმანიშნებდა ჩვენს ეროვნულ დროშაზე, რომელიც წინ მიგვიძღოდა. უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რომ საქართველო, ბოლოს და ბოლოს, ოფიციალურად ჩაეწერა მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახში. ახლა სწორედ ამ პროცესის დაგვირგვინების ამაღელვებელი წუთები იდგა."

90-იანი წლების პირველ ნახევარში, ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს და ურთულეს პერიოდში, ს. ხაბეიშვილმა შეუძლებელი შეძლო საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობების გადასარჩენად. ყველაფერი იყიდებოდა ბაკურიანში, გუდაურს კი ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი „ბლოკადიდან".

გუდაურის სამთო-სათხილამურო კომპლექსი, საერთოდ, ეს მაღალმთიანი გარემო, რომელიც დღეს აღიარებულია სპორტის, კულტურისა და დასვენების თვალსაჩინო კერად, სოლიკო ხაბეიშვილის სახელის უკვდავებასთანაა წილნაყარი. სპეტაკი სულის კაცმა, ასევე სპეტაკ ბუნებაში გამოაჩუქურთმა თავისი ამქვეყნიური მისია.

„სხვაგან, სხვა მთებში ბუდობს დემონიც,
იცის ეს, ვისაც მთებში უვლია, —
გუდაური კი ჰგავს დეზდემონას,
აქ მხოლოდ თეთრი სიყვარულია".

დიახ, სოლიკო ხაბეიშვილი პოეტი იყო.

დიდი საზოგადო მოღვაწეები, განგებას მათთვის თუ პოეტური ნიჭი მოუმადლებია, ამქვეყნიურ ყოველგვარ სიავეს განსაკუთრებული ტკივილით განიცდიან. ბატონ სოლიკოსაც სტანჯავდა ეს ტკივილი. საკანშიც გამოკეტა სიავემ, მაგრამ ბედისწერამ სულით ვერ გატეხა. „სულაც არ ყოფილა სიმარტოვე მოსაწყენიო" — წერდა. თურმე ბევრს ფიქრობდა, ბჭობდა საკუთარ თავთან, აანალიზებდა, ეძებდა ჭეშმარიტებას და ნაფიქრ-ნააზრევს პოეტურ სტრიქონებში აქსოვდა რწმენით.

...გუდაურის სიკეთემ და მნიშვნელობამ აპოგეას მიაღწია. ბაკურიანთან ერთად იგი დღეს სიამაყით სახელდება უკვე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატთა შორის.

ქართველ ხალხს არ სჩვევია ღირსეულ მამულიშვილთა ამაგის დაუფასებლობა, მით უფრო მათი, ვინც უკვე შეუერთდა მარადისობას. შთამომავლობა ღვაწლს არ დაუკარგავს და უთუოდ მიაგებს პატივს.

ვფიქრობთ, დადგა დრო, ჯერჯერობით, მეტი თუ არაფერი, გუდაურის შესასვლელთან, თვალსაჩინო წარწერა მაინც გაკეთდეს, რომელიც ყველას შეახსენებს, რომ ზღაპრადქცეული ეს ადგილი პატრიოტი მამულიშვილის სოლიკო ხებეიშვილის ძეგლადქცეული ახდენილი ოცნებაა, ჩვენთვის ახდენილი ოცნებაა!

თენგიზ გაჩეჩილაძე

ოლიმპიური ვიქტორინა

1. რა ფერისაა ოლიმპიური ალამი, რომლის ფონზეც გამოხატულია ხუთი ერთმანეთში გადაჭდობილი რგოლი?
ა — ცისფერი; ბ — ყვითელი; გ — თეთრი.

2. რომელ წელს წარმოითქვა პირველად ოლიმპიური ფიცი ოლიმპიურ თამაშებზე?
ა — 1920 წელს; ბ — 1924 წელს; გ — 1928 წელს.

3. რომელი წლიდან ჩაებნენ საქართველოს სპორტსმენები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში?
ა — 1948 წლიდან; ბ — 1952 წლიდან; გ — 1956 წლიდან.

4. რომელი წლიდან შემოიღეს ოლიმპიურ თამაშებზე არაოფიციალური გუნდური ჩათვლა?
ა — 1896 წლიდან; ბ — 1904 წლიდან; გ — 1908 წლიდან.

5. რომელი წლიდან ჩაებნენ საბჭოთა სპორტსმენები, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენელი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში?
ა — 1956 წლიდან; ბ — 1960 წლიდან; გ — 1964 წლიდან.

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-ბ, 5-ა.

ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური და პირადად ამ სამსახურის უფროსი გიორგი უდესიანი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ორგანიზაციის პროფკავშირის თავმჯდომარეს ივანე ჯანაშვილს **მეუღლის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი თანაუგრძნობს ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის პროფკავშირის თავმჯდომარეს ივანე ჯანაშვილს **მეუღლის** გარდაცვალების გამო.

ახლა წინ ტექნიკოსები გავიდნენ

კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

„ლელოში" კალათბურთში ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობაზე ბოლო ინფორმაციის მოწოდების შემდეგ, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში რამდენიმე მატჩი გაიმართა. ორი აუტსაიდერის სსუ — „მაქაბის" პაექრობაში ძნელი ამოსაცნობი არ იყო, თუმცა, საქმე ოვერტაიმამდე მივიდა, საბოლოოდ წარმატება მაინც თბილისელებს დარჩებოდათ. სსუ-მ ეს შეხვედრა 94:103 (24:23, 19:22, 19:17, 22:22 დამ. დრო 10:19) წააგო. თელავში კი „ბურჯმა" „ავიამშენს" უმასპინძლა და გასაგებია ვის დარჩებოდა გამარჯვება — ერთ-ერთ ლიდერთან მასპინძლები დამარცხდნენ 61:105 (6:38, 22:26, 17:25, 16:16).

გასულ კვირას კი ჩემპიონატის ბოლო მეოთხე წრე დაიწყო. ფლეი-ოფის წყვილები სწორედ ამ მატჩებში გაირკვევა საბოლოოდ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა რუსთავში „თუჯისა" და სტუ-ს შეხვედრა. მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ მეტოქეებს წარმატების თანაბარი შანსები ჰქონდათ. მაგრამ ძალთა ასეთი, თუნდაც პირობითი ბალანსი არანაირად არ აძლევდა ხელს სტუდენტებს, რადგან უახლოესი მდევრები „დინამო" და „ავიამშენი" ლიდერს სტუ-ს მხოლოდ თითო ქულით ჩამორჩებოდნენ და ასეთ განწყობას უარყოფითად არ უნდა ემოქმედა ტექნიკოსთა გუნდზე. პაექრობა მართლაც საინტერესო გამოდგა და შანსები რომ თითქმის თანაბარი იყო, საბოლოო შედეგიდანაც ჩანს — სტუდენტებმა მხოლოდ ოთხი ქულით აჯობეს მეტოქეს — 89:85.

თბილისში კი, იმავე დღეს, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ჩემპიონატში თავისი მეორე გამარჯვება იზეიმეს სოხუმელებმა. მათ თელაველებს აჯობეს ასევე ოთხი ქულის სხვაობით და იგივე ანგარიშით, რა ანგარიშითაც სტუ-მ მოუგო „თუჯს" — 89:85 (21:25, 22:17, 11:14, 22:20 დამ. დრო — 13:9). თსუ დამარცხდა „დინამოსთან" — 66:77 (16:8, 14:23, 26:25, 10:21). „მაქაბი" — „ავიამშენის" მატჩი გადაიდო და ხვალ, 9 მარტს გაიმართება.

ირაკლი სარალიძე

სატურნირო მდგომარეობა:

1.	სტუ	22	19	3	+400	41
2.	დინამო	22	18	4	+486	40
3.	ავიამშენი	21	17	4	+414	38
4.	თსუ	22	12	10	+187	33
5.	თუჯი	22	11	11	+109	33
6.	მაქაბი	21	5	16	-418	26
7.	ბურჯი	22	3	19	-391	25
8.	სსუ	22	2	20	-675	24

„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი ჟურნალისტის

თემურ მეტრეველის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ქართული „კლასიკა“ „დინამომ“ მოიგო

ქუთაისის სტადიონის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ლანჩხუთში გადატანილმა ქართულმა საფეხბურთო „კლასიკამ“, თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ დაპირისპირებამ მეტნაკლები სიმძაფრით, შაინც აყალმაყალის თანხლებით ჩაიარა. განსაკუთრებით ქუთაისელთა ქომაგები და გუნდის თავკაცები აქტიურობდნენ. თუმცა, მსაჯებზე და დინამოელ ფეხბურთელებზე ზეწოლამ „ტორპედოს“ ვერ უშველა. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ზედიზედ მესამედ დამარცხდა და „დინამოსაც“ და „თბილისსაც“ ჩამორჩა. გეგუჩაძის შეგირდებმა კი პრინციპული მატჩი მობილიზებულებმა ჩაატარეს და მეტოქეს შეხვედრის გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს. ბომბარდირთა დავაშიც დინამოელი მელქაძე დაწინაურდა, რომელმაც სამი გოლი გაიტანა, ტორპედოელმა მეგრელაძემ კი თბილისელთა კარი მხოლოდ ერთხელ დალაშქრა. ოცდამეორე ტურის სხვა მატჩებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ვიტელთა და ბათუმელთა ფრეს. თბილისელები ზღვისპირელების დაჯაბნას ძალების დაზოგვით შეეცადნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს სტუმართა კონტრშეტევა გაეპარათ და მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდნენ. დარჩენილ სამ მატჩში მასპინძლებმა იყოჩაღეს და სტუმრები შინ ხელცარიელი გააბრუნეს. აუტსაიდერთა სამეული უცვლელი დარჩა, ფავორიტებმა კი დაგეგმილი სამი ქულით შეივსეს ყულაბა. გაიმარჯვა „თბილისმაც“, „ლოკომოტივმაც“ და „ზესტაფონმაც“. „დინამო“ უახლოეს მდევარს ორი ქულით უსწრებს, თბილისელებს ქუთაისელებზე სამი ქულით მეტი აქვთ, ტურნირის უიმედო მაჩანჩალად კი გოლის „დილა“ რჩება.

ოცდაორი ტურის განმავლობაში 110 თამაში ჩატარდა, ფრე აღინიშნა 25 მატჩში, გატანილია 291 გოლი (საშუალოდ 2,64 გოლი ერთ მატჩში). შეხვედრებს დაესწრო 118700 გულშემატკივარი (საშუალოდ 1130, 48 ქომაგი ერთ მატჩში), მატჩებში მონაწილეობა მიიღო 279 ფეხბურთელმა.

მომდევნო ოცდამესამე ტურამდე სატურნირო ვითარება ასეთია:

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

საქართველოს
XVI ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში
XXII ტური
უმაღლესი ლიგა

უმაღლესი ლიგა

დინამო (თბ)	22	14	3	5	45-22	45
თბილისი	22	13	4	5	44-26	43
ტორპედო	22	11	7	4	34-18	40
ვიტ ჯორჯია	22	10	6	6	36-26	36
ლოკომოტივი	22	8	10	4	30-19	34
ზესტაფონი	22	9	2	11	21-38	29
დინამო (ბთ)	22	6	8	8	25-20	26
კოლხეთი1913	22	6	5	11	22-30	23
სიონი	22	6	2	14	20-45	20
დილა	22	2	3	17	14-47	9

ბომბარდირები

მელქაძე (დინამო თბ) — 16

მეგრელაძე — (ტორპედო) — 14.

„ტორპედოს“ ქადილი შერჩა

თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბი. თანდათან ძლიერდება და წევრთა რიცხვიც იზრდება. ფანები არა მარტო შინ გამართულ მატჩებზე ამხნევებენ საყვარელ გუნდს და მის მოთამაშეებს, არამედ, ერთგულებას იმითაც უმტკიცებენ, რომ გასვლით შეხვედრებზეც მიჰყვებიან ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. ამჯერად მოხდა ისე, რომ ქუთაისის ნაცვლად, გასაგები მიზეზების გამო, „დინამომ“ კალენდარული მატჩი „ტორპედოსთან“ ლანჩხუთში ჩაატარა. ცხადია, ქომაგებმაც გურიაში ჩააკითხეს თავის გუნდს. თბილისიდან 40-მდე გულშემატკივარს, თქვენ წარმოიდგინეთ, „დინამოს“ ადგილობრივი ქომაგებიც შეუერთდნენ და თბილისელებმა კაი გვარიანი მხარდაჭერა თავიდანვე იგრძნეს ნეიტრალურ სტადიონზე.

ლოკომოტივი — სიონი
ფოტო ელდარ მაღხაზიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გავითვალისწინებთ, რომ „დინამოსაც“ და „ტორპედოსაც“ გარკვეული პრობლემები შეექმნათ ბოლო ხანებში, ამასთან იმასაც, რომ ამ ორი ტრადიციული მეტოქის შეხვედრა ეროვნულ ჩემპიონატში ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებს, ქუთაისიდან ლანჩხუთში გადატანილი ეს მატჩიც არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი. ეს ასეც მოხდა. თუმცა, როცა კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს („ტორპედო“ გვყავს მხედველობაში), აი, თბილისის „დინამოსთან“ ვითამაშებთ და მერე დავიშლებითო, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთ ვითარებაში „ტორპედოს“ თავი ბოლომდე გამოედო. თუმცა, საქმე არც მთლად ასე ყოფილა. „იბრძოლეთ, თავი შეაკალით, მოუგეთ, რათა ჟლას დავუმტკიცოთ, რომ ძლიერები ვართ, მაგრამ გვჩაგრავენ და დაშლას გვაიძულებენ“ — ასეთი ფონი შეიქმნა ამ მატჩის წინ ქუთაისელთა მხრიდან. ასე რომ, ეს შეხვედრა „დინამოსთვისაც“ ღირსების მატჩად იქცა. მატჩის პირველი ნახევარი მართლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, დროის რაღაც მონაკვეთში ქუთათურები უკეთაც ირჯებოდნენ. ბოლომდე რომ ასე გაგრძელებულიყო, ვინ იცის რა იქნებოდა საბოლოო შედეგი. პირველი გოლი მელქაძემ გაიტანა, მეორე — ჯამარაულმა. საერთოდ, ეს ორი ფეხბურთელი, განსაკუთრებით მელქაძე, შეუდარებელი იყო. ერთი გოლი მეგრელაძემ გაქვითა.

მეორე ტაიმი მთლიანად თბილისელებისა იყო და მელქაძემ კიდევ ორჯერ შეარხია მეტოქის კარის ბადე.

ცოტნე ბაჩეჩილაძე,
„დინამოს“ გულშემატკივართა კლუბის წევრი. „ლელოს“ სპეც. კორ.
ლანჩხუთი.

XXII ტურის სტატისტიკა. 5 მარტი

ლანჩხუთი. ე. შევარდნაძის სახელობის სტადიონი. 1500 მაყურებელი

ტორპედო — დინამო (თბ) 1-4

ტორპედო: მერლანი, გ. ახალაია, ბაქრაძე, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, ნერგაძე, ბოლქვაძე, სოსელია (რ. ჯიქია, 65), დ. ონიანი (რ. ბარაბაძე, 65), წუწუნავა, გ. მეგრელაძე.

დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, ჰიჰვეიშვილი, ორბელაძე, ნემსაძე, ჯამარაული (ლ. ჰელიძე, 84), ბაბუნაშვილი (კანდელაკი, 69), გ. ნუგზარისძე ჰელიძე (დ. ოდიკაძე, 28), კაკალაძე, მელქაძე.

გოლები: 0-1 მელქაძე (28), 0-2 ჯამარაული (57), 1-2 მეგრელაძე (68 პ.), 1-3, 1-4 მელქაძე (73, 79).

გააფრთხილეს: ბაბუნაშვილი (59), სოსელია (64), მამალაძე (67), მერლანი (72), ჰიჰვეიშვილი (78).

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

მცხეთა. სტადიონი „არმაზი“. 500 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია — დინამო (ბთ) 1-1

ვიტ ჯორჯია: ჰურაძე, ინწკირველი, თ. კობიაშვილი, გველესიანი (სახოკია, 81), გ. კვახაძე (დ. ლომაია, 46), დიღმელაშვილი, რაზმაძე, ვ. გოჩაშვილი, ფეიქრიშვილი, ებანოიძე (ჩილვინაძე, 71), მარცვალაძე.

დინამო: თოთლაძე, გალოგრე, გუშარაშვილი, გოგიშვილი (ხარაზი, 77), ხუჯაძე, ლ. ხმალაძე, ღლონტი, ბესო თედორაძე, პ. ჩოხელი (ცანავა,52), დარჩიძე, გონჩაროვი (ხომერიკი, 69).

გოლები: 1-0 მარცვალაძე (2), 1-1 ხარაზი (79).

გააფრთხილეს: დარჩიძე (13), ღლონტი (85).

გააძევეს: გონჩაროვი (90).

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი“. 300 მაყურებელი

ლოკომოტივი — სიონი 2-0

ლოკომოტივი: სტურუა, გიგაური, მახვილაძე, სეთურიძე, ლ. ქბაძე (სანიკიძე, 73), ლაცაბიძე, მანჩხავა, ალავერდაშვილი (მძინარიშვილი, 61), გ. ონიანი, სირბილაძე, ბობოხიძე (ქუანი, 83).

სიონი: ბობლიაშვილი, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, თ. უგრეხელიძე, ბ. შელია, ბაჯელიძე, ჩაჩუა (გოგოლაძე, 78), გ. დოლიძე (ნ. ლაბაძე, 61), ქოქიაშვილი (მიქელაძე, 88), დათვაძე, გ. შენგელია.

გოლები: 1-0, 2-0 სირბილაძე (37, 79).

გააფრთხილეს: ქოქიაშვილი (47), ბობოხიძე (65).

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი).

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 6000 მაყურებელი

ზესტაფონი — კოლხეთი 2-1

ზესტაფონი: მამარდაშვილი (ქაჩხია, 65), ს. თოდუა, შ. ღონღაძე, შავგულიძე, სულაკაძე, ბესარაშვილი, გუჩუა, კვერნაძე (იონანიძე, 60), ბ. ნოზაძე (კ. ჩხეტიანი, 63), განუგრავა, ბ. გოცირიძე.

კოლხეთი: ბათიაშვილი, გოროზია, ჯ. შალამბერიძე, მინდაძე (აკობია, 46), ქითანავა, თაყაძე, ე. მარგალიტაძე, ლ. მელიქია (ტყებუჩავა, 46), კუნჭულია, მიკუჩაძე, ლებანიძე.

გოლები: 1-0 გოცირიძე (10), 1-1 შალამბერიძე (13), 2-1 ჩხეტიანი (75).

61-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა იონანიძემ.

გააფრთხილეს: შალამბერიძე (4), გოცირიძე (10), მელიქია (25), ნოზაძე (51), კუნჭულია (74), მიკუჩაძე (76).

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

თბილისი. სტადიონი „ოლიმპი“. 400 მაყურებელი

თბილისი — დილა 2-1

თბილისი: გრიშიკაშვილი, გ. ფოფხაძე, ლოლაძე, მიქიაშვილი, მესხი, დევდარიანი, მინ ჩოი, შ. ჯიქია, ფიფია (ბ. ქლენტი, 46), რ. ბარაბაძე (ვ. კვარაცხელია, 73), ს. იაშვილი.

დილა: თ. ილურიძე, მგელაძე, ლ. გოჩაშვილი, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, ხაჭაპურიძე, კ. ხანიშვილი (ბ. ჩიტაია, 46), გ. ჩიტაია, რევაზიშვილი, ჯობაძე (ა. ლაბაძე 77), სამადაშვილი.

გოლები: 1-0 იაშვილი (38), 1-1 რევაზიშვილი (55), 2-1 ჯიქია (78);

გააფრთხილეს: მესხი (28), ილურიძე (71).

გააძევეს: მგელაძე (89).

მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებს სფფ-ს თანამშრომელს ხათუნა ჩიხლაძეს ბებიის
დარიკო გიორგაძის
გარდაცვალების გამო.
გამოსვენება 8.03. 14 საათზე.
მისამართი: თამარაშვილის 11.

ანონსი



საქართველოს თასი. მეოთხედფინალი საპასუხო მატჩი.

დღეს, 8 მარტს

ზესტაფონი — დინამო (ბთ) (0-0)

მსაჯები, ინსპექტორები

მსაჯები: ა. შილაკაძე, ლ. მიქელაძე, ა. სამხარაძე, პ. დოგრაშვილი, **ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია.

ფრჩხილებში მითითებულია პირველი მატჩის შედეგი.

მატჩი დაიწყება 14 საათზე.

კანკავა სამი წლით „ალანიაში“

გოგუა ოთხი წლით „ხიმკიში“

საბოლოოდ გაარკვიეს თავიანთი ახალი კლუბების ვინაობა თბილისის „დინამოსა“ და „თბილისის“ ყოფილმა ნახევარმცველებმა **კანკავამ** და **გოგუამ**. ჯაბა ვლადიკავკაზის „ალანიას“ ღირსებას სამი წლით დაიცავს, გოგიტა კი პირველი დივიზიონის „ხიმკის“ ოთხი წლით შეუერთდა.

სალუქვაძე ყაზანში სამი წლით წავიდა

თბილისის „დინამოს“ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, ლაშა სალუქვაძემ ყაზანს მიაშურა და ახალ სეზონში იქაური „რუბინის“ კარის მისადგომებს დაიცავს.

«რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი?»

პირველი გვერდიდან

დიდუბის იპოდრომზე აიდგა ფეხი.

როგორც საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნაშრომებიდან ირკვევა, ეს მოხდა XIX საუკუნის მიწურულს (1895 წელს), როცა პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის, ნიკოლაევისა და ორეხოვო-ზუევოს კვალდაკვალ, საქართველოს ქალაქებში — ბათუმში, ფოთში, სოხუმსა და თბილისში ჩამოყალიბდა ფეხბურთის გუნდები. ეს გუნდები ძირითადად შეიქმნა სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ ტანვარჯიშული სექციების ბაზაზე, რომელთა ძირითად კონტიგენტს თბილისის გიმნაზიების მოსწავლეები შეადგენდნენ.

თბილისში ფეხბურთელთა ასპარეზს წარმოადგენდა ზემოხსენებული დიდუბის ცნობილი იპოდრომი, სადაც 1905-1906 წლებში ტარდებოდა ფეხბურთელთა შეხვედრები. 1912 წელს კი იქვე გაიმართა ქ. თბილისის პირველი ოფიციალური პირველობა, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობდა: თბილისის — I, II, III გიმნაზიებისა და სავაჭრო-კომერციული სასწავლებლის გუნდები. სწორედ ამ გუნდებმა გაითამაშეს თბილისის პირველი ოფიციალური პირველობა. შეჯიბრება მოეწყო „შევარდენის“ ინსპექტორის მოხოვის თაოსნობით.

ყველაზე წარმატებულად იასპარეზა II გიმნაზიის გუნდმა, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით 3-0 დაამარცხა სავაჭრო-კომერციული სასწავლებლისა და III გიმნაზიის გუნდები. იგი ფინალში შეხვდა I გიმნაზიის გუნდს და სძლია მეტოქეს ანგარიშით 5-3, რის შედეგადაც მოიპოვა ქ. თბილისის პირველი ჩემპიონის საპატიო წოდება. მომდევნო (1913 წ.) წელს კი მონაწილეთა რიცხვმა უკვე 8 გუნდი შეადგინა.

ასეთი იყო თბილისური ფეხბურთის პირველი ნაბიჯები, დედაქალაქის გუნდებს მხარს უბამდნენ პერიფერიის — ფოთის, ბათუმის, სოხუმის საფეხბურთო კოლექტივები, სადაც ტყავის ბურთის არაერთი სახელოვანი ოსტატი იშვა.

უშანგ ჭიჭინაძე

საქართველოს
XVI ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში
XVI ტური
პირველი ლიგა

„ბორჯომი“ მძიმე დასაძლევია

ცხინვალი — ამერი 1-0
მილანი-მერანი — ივერია 0-1
გურია — სპარტაკი 0-2
რუსთავი — დინამო2 (თბ) 2-1
კახეთი — ოლიმპი 1-1
ვიტ ჯორჯია (მცხ) — ჩიხურა 2-1
საგარეჯო — მაღაროელი 3-1
ბორჯომი — ლოკომოტივი2 (თბ) 2-0

პირველი ლიგის მეორე წრის საწყის ტურში, დაწინაურებული ხუთი გუნდიდან ორმა წაიფორხილა. „კახეთმა“ შინ თბილისური „ოლიმპი“ ვერ დაამარცხა და კონკურენტებს საგრძნობლად ჩამორჩა. გასვლითი მატჩი წააგო მეორე თბილისურმა „ამერმა“, რომელსაც ერთბაშად, ორმა გუნდმა გადაასწრო, თანაქალაქელმა „სპარტაკმა“ და მცხეთის „ვიტ ჯორჯიამ“. გათამაშების ლიდერმა ბორჯომმა ამჯერადაც მოიგო და ცხრილში ისევ პირველია. უპირობო აუტსაიდერების დაპირისპირებაში საგარეჯოელებმა იმარჯვეს. გათამაშების ცხრილი კი ასე გამოიყურება:

ბორჯომი	16	13	1	2	44-20	40
ვიტჯორჯ.(მცხ)	16	11	3	2	27-10	36
სპარტაკი	16	10	6	0	31-15	36
ამერი	16	11	1	4	45-8	34
კახეთი	16	10	2	4	28-21	32
დინამო2 (თბ)	16	8	1	7	39-26	25
ცხინვალი	16	7	3	6	22-20	24
ივერია	16	6	5	5	16-17	23
გურია	16	6	3	7	16-23	21
ჩიხურა	16	6	2	8	16-20	20
ლოკ-2 (თბ)	16	5	4	7	21-24	19
მილანი-მერანი	16	4	1	11	19-31	13
რუსთავი	16	4	1	11	19-32	13
ოლიმპი	16	3	4	9	15-27	13
საგარეჯო	16	2	4	10	16-40	10
მაღაროელი	16	0	3	13	8-48	3

პირველი ლიგის მეთექვსმეტე ტურში ჩატარდა 128 თამაში. 22 მატჩში ფრე აღინიშნა, გატანილია 382 გოლი (საშუალოდ 2,9 ერთ მატჩში). შეხვედრებს დაესწრო 36600 გულშემატკივარი (საშუალოდ 305 ქომაგი ერთ მატჩში). მატჩებში მონაწილეობა მიიღო 394 ფეხბურთელმა.

„ქართული ფეხბურთის“
რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

ბავშვთა ფეხბურთი

1

2

პლუს ერთი საჩუქარი

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა (უფროსი **გიორგი უდესიანი**) კიდევ ერთი ლამაზი სპორტული ასპარეზობა აჩუქა მოზარდებს — დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრის სტადიონზე „მერიის თასზე" ჩაატარა 1994 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა ღია პირველობა მინიფეხბურთში ორ წრედ. დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრის (ომც) სარბიელზე ათმა გუნდმა იასპარეზა თბილისიდან, გორიდან, რუსთავიდან და მცხეთიდან.

ნახევარფინალში ომც-ს გუნდმა 1-0 აჯობა თ. სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის თანატოლებს, „საბურთალომ" კი „იraოს" სძლია 3-1. ფინალში საბურთალოელებმა (მწვრთნელი **მ. ღვიცინიძე**) მინიმალური ანგარიშით მოუგეს ომც-ს (მწვრთნელები **ბ. ჩადუნელი** და **გ. გელაშვილი**). მთავარი პრიზი გამარჯვებულებმა თბილისის მერიის **ზ. ჭიაბერაშვილის** ხელიდან მიიღეს. დედაქალაქის ვიცე-მერმა **თ. ქურხულმა** კი მეორე პრიზიორები დააჯილდოვა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ირაოს" ბიჭებმა დამაჯერებელი შედეგით 6-0 აჯობეს თ. სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის გუნდს. ბრინჯაოს პრიზიორს (მწვრთნელი **ლ. ანდღულაძე**) მედლები გ. უდესიანმა გადასცა.

საუკეთესოდ დასახელდნენ: მეკარე — **არჩილ მაზარაშვილი** (მცხეთა), მცველი — **არჩილ მესხი** (ომც), ნახევარმცველი — **ირაკლი იბრაგიმოვი** („საბურთალო"), თავდამსხმელი — **საბა ქუთელია** („ირაო"), ბომბარდირად (9 გოლი) აღიარეს **ალექსი ოქრუაშვილი** (თ. სულაქველიძის ფეხბ. აკად.), საუკეთესო მოთამაშედ — **ნიკა კოპლატაძე** („საბურთალო").

3



4

სურათებზე: 1. გამარჯვებული გუნდი „საბურთალო"; 2. ტურნირის მეორე პრიზიორი — ოლიმპიური მზადების ცენტრის გუნდი; 3. მარცხნიდან — ზურაბ ჭიაბერაშვილი, თემურ ქურხული და გიორგი უდესიანი ტურნირის მონაწილეებთან. 4. ასპარეზობის მესამეადგილოსანი — „ირაო"

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.

ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი

თვალსაზრისი

მანუჩარ მაჩაიძე დრიბლინგის, ბურთის „თრევის" დიდოსტატი იყო. თბილისის „დინამოს" გამოკვეთილი ლიდერი რამდენჯერმე მოსინჯეს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა. მახსოვს, ერთხელ სსრ კავშირ — უნგრეთის ამხანაგურ მატჩში, რომელიც თბილისში გაიმართა, დააყენეს შემადგენლობაში. მანამდე არ აჰყავდათ მხოლოდ ერთადერთი საბაბით, ეს იყო ბურთის გადამეტებული „თრევა". არადა, თბილისის „დინამოში" ასეთი თამაშით გაჰქონდა ბურთები, ატანინებდა სხვებსაც, თავდაუზოგავად შრომობდა და ამით ფიზიკურ შეღავათს აძლევდა თანაგუნდელებს. ყოველივე ამას აკეთებდა უზადო ოსტატობით, ფილიგრანული ტექნიკით. მანუჩარმა იცოდა, თუ რა არ მოსწონდათ მის თამაშში ნაკრების ხელმძღვანელობას და შეეცადა ისე არ ეთამაშა. მას ვერ იცნობდით, მიიღებდა თუ არა ბურთს, მაშინვე პასს იძლეოდა, კარში დასარტყმელადაც სხვას აწვდიდა. ეს არ იყო ის მანუჩარი, რომლის პრობლემა ნებისმიერ გუნდს ჰქონდა. მაშინ მაყურებელმა ტრიბუნიდან დაუწყო შეძახილი: „მანო, შენ თვითონ", „მანო, აიღე შენს თავზე", ანუ მისგან ითხოვდნენ იმ თამაშს, როგორსაც „დინამოში" უჩვენებდა... მეორე ტაიმში შეცვალეს. ვფიქრობ, ქართული ფეხბურთის ბერმუხის ანდრო ჟორდანიას სიტყვებიდან და ამ მაგალითიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ დიახ, ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს რაღაც გამოკვეთილი, „თავისი", მაგრამ სხვა რამეებიც უნდა ისწავლოს, თან ისე, რომ ის „თავისი" მაინც უმთავრესი იყოს, მით უმეტეს, რომ ვლაპარაკობთ ქართველ ბავშვებზე. უკვე ვთქვით, რომ თუკი გერმანელები და ჰოლანდიელები გამოირჩევიან გუნდური თამაშით, ორგანიზაციითა და დისციპლინით, ქართველების აღნიშნული „თავისი" თუ „ჩვენი" არის ინდივიდუალიზმი, თვითმყოფადობა. ეს რომ ასეა, ნაპოლეონ ბონაპარტეს სიტყვებიც ადასტურებს: „ორი მამლუქი აუცილებლად სჯობდა სამ ფრანგს, 100 ფრანგი 100 მამლუქს უდრიდა. 300 ფრანგი ჩვეულებრივად სჯობდა 300 მამლუქს, ხოლო 1000 ფრანგი ყოველთვის ამარცხებდა 1500 მამლუქს." მოგეხსენებათ, მამლუქებში უმეტესობა ქართველები იყვნენ და, ამიტომ, ეს სიტყვები გენიალური მხედართმთავრისა, კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი თვითმყოფადობა-ინდივიდუალიზმისა. რითი შეიძლებოდა ორ მამლუქს ყოველთვის ეჯობნა სამი ფრანგისათვის, მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალიზმით. სწორედ ამიტომ უნდა გამოვავლინოთ ბავშვში ის „ინდივიდუალური", რომელიც მხოლოდ მას აქვს. ხოლო, რადგან 1000 ფრანგი ყოველთვის ამარცხებდა 1500 მამლუქს, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ორგანიზაციით, დისციპლინით და სწორედ ეს არის ევროპული გუნდების კოზირი.

თითქმის დადგენილია, რომ თამაშები უნდა ტარდებოდეს 5-6 დღეში ერთხელ. მე არ ვეთანხმები ამგვარ პოსტულატს. არა მგონია, ბავშვები თამაშის დროს უფრო იღლებოდნენ, ვიდრე ვარჯიშზე. შესაძლოა, პირიქითაც არის. ჭკვიანი მწვრთნელი გუნდს გაყოფს პირველ და მეორე ნაკრებებად და ყოველ სამ-ოთხ დღეში ერთხელ შეახვედრებს ერთმანეთს. არაფერი ისე არ წაადგება ბავშვებს, როგორც თამაშები. დიახ, თამაშები და თამაშები, მათ ვერავითარი ვარჯიში ვერ შეცვლის. ასეთ თამაშებში მეორე ნაკრების ბიჭებს საშუალება და შანსი ეძლევათ მწვრთნელის ყურადღება დაიმსახურონ და პირველ ნაკრებში მოხვდნენ, ხოლო პირველის ფეხბურთელები ფხიზლად უნდა იყვნენ, ადგილის შესანარჩუნებლად.

კიდევ ერთ რამეს ვურჩევდი ბავშვთა მწვრთნელებს: ზოგჯერ, თავდამსხმელი მცველად — ათამაშოს (არაოფიციალურ მატჩებში), მცველი — თავდამსხმელად. განა ცუდი იქნება თავდამსხმელმა ბურთისართმევა ან ჩაწოლა რომ ისწავლოს? თუ მცველს თავდასხმაში მოუწევს ჩართვა, განა კარგი არ იქნება, თუ გარკვეული პრაქტიკა ექნება იქ თამაშისა? ან განა სასარგებლო არ არის თავდამსხმელისათვის ართმევისა და ჩაწოლის ცოდნა? თანამედროვე ფეხბურთში თავდამსხმელმა მოსვენება არ უნდა მისცეს ბურთიან მცველებს. ხელი უნდა შეუშალოს ბურთის დამუშავებასა და იერიშის მომზადებაში. აი, აქ კი ძალიან გამოადგებათ აღნიშნული ილეთების ცოდნა.

ზემოთ ვილაპარაკე საქართველოში მეკარეთა დეფიციტზე. ამისი ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ისიცაა, რომ ბავშვთა ფეხბურთში მწვრთნელები არანაირ ყურადღებას არ აქცევენ მათი აღზრდის საქმეს და პატარა მეკარეები, ფაქტობრივად, თვითაღზრდაზე არიან.

მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ფეხბურთში დილეტანტიზმის საკითხზე. ხშირად გაგვიგონია ამა თუ იმ მწვრთნელის შესახებ, რა უნდა მაგას ფეხბურთში, როცა ცხოვრებაში ფეხბურთი არ უთამაშიაო. დიახ, კარგადაა ნათქვამი — პური მეპურემ უნდა აცხოს. რა თქმა უნდა, ეს სრული ჭეშმარიტებაა, რაც ფეხბურთზეც ვრცელდება. არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ კაცი, რომელსაც ბავშვობაში საფეხბურთო სკოლაში უსწავლია, ხოლო შემდეგ გუნდში უთამაშია, სხვადასხვა მწვრთნელის ხელში გაუვლია, მეტი უნდა იცოდეს ამ საქმეში, ვიდრე იმან, ვისაც ეს არ გაუკეთებია. რად უნდა ლაპარაკი იმას, რომ სკოლა, კურსები თუ ცნობილ სპეციალისტთა ლექციები ბევრის [illegible] არის. ამიტომაა, ვისაც საშუალება აქვს, ინგლისისა და იტალიის მწვრთნელთა სკოლის დასამთავრებლად რომ მიისწრაფის.

კვლავ ვიმეორებ, ყოველივე ამაში არაფერია საკამათო, მაგრამ შეიძლება მოხდეს იშვიათი გამონაკლისი და არამეპურემ მეპურეზე უკეთესი პური გამოაცხოს. ეს გამონაკლისი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მეპურე დიდი ვერაფერი მეპურეა, ხოლო ის არამეპურე ნიჭიერი, განათლებული, მაღალი ინტელექტის კაცია. მოგეხსენებათ, ნიჭს საზღვარი არ აქვს და ამგვარი გონიერი, ინტელექტუალური პიროვნების შემოსვლას ფეხბურთში გაღიზიანებით, შურითა და მტრობით კი არა (რაც ხშირად ხდება ჩვენში), პირიქით, სიხარულით უნდა შევხვდეთ და ყოველმხრივ წავახალისოთ.

ერთ-ერთ რაიონში ვიცნობ ბავშვთა მწვრთნელს, რომელიც დიდი მონდომებითა და რუდუნებით, ბეჯითად ავარჯიშებს ნორჩებს. ფანატიკურად უყვარს ფეხბურთი. ვულკანმა რომ ამოხეთქოს, მაინც არ გააცდენს ვარჯიშს. აქვს არნახული დისციპლინა და თავდაჯერებულობა. ბავშვებს ეშინიათ, უყვართ, სწამთ მისი და ფიქრობენ, რომ იგი არის ყველაზე დიდი მწვრთნელი მსოფლიოში. ეს პიროვნება ადრე ამ რაიონის გუნდში თამაშობდა მარჯვენა მცველად. თამაშობდა მარტივ, ძალისმიერ ფეხბურთს. ეს იყო და ეს. მინდა გაგაცნოთ მისი მუშაობის „მეთოდიკა". დაუჯერებელია, მაგრამ 9-10 წლის ბავშვებს მოედნის გარშემო არბენინებდა 15-20 წრეს(?). ამის შემდეგ, იქვე სტადიონზე არსებულ ორმოცდაათგრადუსიანი დახრილობის 23-საფეხურიან კიბეზე, ბავშვებს ჯერ ცალი ფეხით ასკინკილებდა ზევით-ქვევით ათჯერ, შემდეგ მეორე, და ბოლოს ორივე ფეხით აკეთებინებდა იგივეს. ამ ერთი ციცქნა ბიჭუნებს ტყე-ღრეში არბენინებდა 8-10-კილომეტრიან კროსებს და ჩახოცილ-ჩაწყვეტილი, არაქათგამოცლილი ბავშვები ლასლასით მიდიოდნენ სახლში.

მან ყველაფერი იცოდა და ამის გამო, არავის რჩევას თუ წინადადებას ყურს არ უგდებდა. თუკი ვინმე გაბედავდა და მაინც ურჩევდა, მოსისხლე მტრად უხდებოდა მას. აი, ესეც თქვენი „პროფესიონალი" თუ „სპეციალისტი"! მისი პროფესიონალიზმის საფუძველი კი თურმე ის ყოფილა, ამ რაიონის გუნდში რომ თამაშობდა.

მე ხშირად მქონია საუბარი მასთან აღნიშნულ საკითხებზე. ვიცოდი რა მისი ხასიათი და საკუთარი თავის ფასი, ყოველთვის იმ ფორმით ვცდილობდი მივდგომოდი, რომ მისი ავადმყოფური პატივმოყვარეობა არ შემელახა. ბოლოს კი, ერთ-ერთი ვარჯიშისას, მინდვრის გარშემო 10 წლის ბავშვებმა 20 წრე რომ ირბინეს და კვლავ აგრძელებინებდა სირბილს, კარგა ხნის მომწიფებული კონფლიქტი ჩვენს შორის შედგა.

უწინ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა, შემდეგ I ლიგა, II ლიგა თუ „ბ" კლასი და აი, სადღაც IV თუ V ეშელონი იყო საქართველოს ჩემპიონატი! ასეთი ეშელონები ევროპის ქვეყნებში მოყვარულთა დონედ ითვლება, ხოლო აღნიშნული მწვრთნელისათვის იგი მისი „სპეციალისტობის" საფუძველია.

ისმის კითხვა: სად იყვნენ და არიან განათლების სამინისტროს სპორტის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები? ვინ იცის, როგორ დაუზიანდათ ჯანმრთელობა ნორჩ ფეხბურთელებს 25 წრეზე სირბილისგან? ხომ შეიძლება მომკვდარიყო ვინმე?

მთელი 90-იანი წლების მანძილზე ამ სამმართველოს უფროსი ვინმე დავით ბერძენიშვილი იყო. შესაძლოა ახლაც ის არის, რადგან მიდიოდნენ მინისტრები, ბერძენიშვილი კი ყოველთვის ინარჩუნებდა პოსტს. აი, ესეც გვიჩვენებს იმას, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებს სპორტის, კერძოდ კი, ფეხბურთის მიმართ. არ უნდა ენახათ ბერძენიშვილს თუ მის ხალხს, რას საქმიანობენ, როგორ ავარჯიშებენ მწვრთნელები ბავშვებს?

ზემოაღნიშნული მწვრთნელი დღეს სხვაგვარად იქცევა. იმავე ბავშვებს, რომლებსაც 5 წლის წინ 20 წრეს არბენინებდა, დღეს ათ წრეს არბენინებს, კიბეებზეც აღარ ასკინკილებს და კროსების ინტენსივობასაც მოუკლო. დიახ, ეს ჩემი მასთან გაუთავებელი ჩხუბის შედეგია. მაგრამ, როცა ბავშვი ათი წლის იყო, 20 წრე უნდა ერბენინებინა და მერე, როცა იგი თხუთმეტი წლის გახდა, ათი წრე არბენინოს? თუ პირიქით უნდა ყოფილიყო? პატარაობისას ერთი წრე ერბინათ და თანდათან გაეზარდა რბენის ინტენსივობა! ყოველივე ამის შედეგიც სახეზეა — შესანიშნავმა დიდი იმედების მომცემმა ბავშვებმა დღეს არ იციან უმნიშვნელო საფეხბურთო ელემენტები და თამაშობენ დიდი თავგანწირვით, თავგამოდებით უშლიან ხელს მეტოქეს თამაშში და შემართულები არიან დევიზით „სიკვდილი ან გამარჯვება". ამ გუნდს მე დავარქმევდი „შახტიორს" ან „კრილია სოვეტოვს".

აი, ესეც თქვენი პროფესიონალიზმი!

ომარ ჩხეიძე

(გაგრძ. იქნება, დასაწ. „ლელო" №8-16)

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კობიაშვილს „შალკე" ჩემპიონობისკენ მიჰყავს

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

ინგლისის პრემიერლიგის 29-ე ტურში დასრულდა „ჩელსის" გოლკიპერის პეტერ ჩეხის მშრალი სერია (1025 წუთი). ლონდონელებმა სტუმრად „ნორვიჩთან" შეხვედრაში გოლი გაუშვეს, თუმცა, მაინც გაიმარჯვეს — 3-1. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს ჯო კოულმა, კეჟმანმა და რიკარდო კარვალიუმ. **ამ შეხვედრაში რომან აბრამოვიჩის გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** ჩეხი, ჯონსონი, კარვალიუ, ტერი, პაულუ ფერეირა, მაკელელე, ლემპარდი, ტიაგო (კეჟმანი, 67), ჯო კოული, დროგბა (გუდიონსენი, 67), დაფი (იაროშიკი, 73).

„ჩელსის" ამ გამარჯვების შედეგად 71 ქულა გაუხდა და 8 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედს", რომელმაც სტუმრად ვერაფერი მოუხერხა „კრისტალ პალასს". 61 ქულით მესამეზეა „არსენალი", რომელმაც ამ ტურში 3-0 გაანადგურა „პორტსმუთი".

„არსენალი": ლეემანი, კოლო ტურე, სიგანი (ლორენი, 24), სენდეროსი, ეშლი კოული, ფაბრეგასი (ლიუნგბერგი, 78), ვიეირა, ფლამინი, კლიში, ანრი, ოვუსუ აბეიე (ვან პერსი, 74).

სხვა მატჩები: „ნიუკასლი" — „ლივერპული" 1-0, „ფულემი" — „ჩარლტონი" 0-0, „საუთჰემპტონი" — „ტოტენჰემი" 1-0, „ასტონ ვილა" — „მიდლსბრო" 2-0, „ვესტ ბრომვიჩი" — „ბირმინგემი" 2-0, „ევერტონი" — „ბლექბერნი" 0-1.

მომდევნო ტური. 19 მარტი: „ბირმინგემი" — „ასტონ ვილა", „ბლექბერნი" — „არსენალი", „ბოლტონი" — „ნორვიჩი", „ჩარლტონი" — „ვესტ ბრომვიჩი", „ჩელსი" — „კრისტალ პალასი", „ლივერპული" — „ევერტონი", „მანჩესტერი" — „ფულემი", „მიდლსბრო" — „საუთჰემპტონი", „პორტსმუთი" — „ნიუკასლი", „ტოტენჰემი" — „მანჩესტერ სიტი".

ესპანეთის პრიმერადივიზიონში „ბარსელონა" უკვე 8 ქულით უსწრებს მადრიდის „რეალს". კატალონიელებმა ეტო'ოს ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად დაამარცხეს „ოსასუნა" (1-0). **„ბარსელონა":** ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერა, სილვინიო, დეკუ, მარკესი (ხერარდი, 46), ჩავი, ინიესტა, რონალდინიო, ეტო'ო.

მადრიდის „რეალმა" კი ფრედ ითამაშა სტუმრად ტურის ცენტრალურ მატჩში „ვალენსიასთან". თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ — მე-14 წუთზე აიმარმა გაიტანა გოლი. თხუთმეტიოდე წუთში რონალდომ წონასწორობა აღადგინა. დარჩენილ დროში ორივე გუნდის ფეხბურთელებს ჰქონდათ საგოლე მომენტები, თუმცა, ანგარიში არ შეცვლილა.

გუნდების შემადგენლობა.

„ვალენსია": კანისარესი, სისოკო, აიალა, მარჩენა, კარბონი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე (ჩისკო, 86), აურელიო, მისტა (დი ვაიო, 60).

„რეალი": კასილიასი, რაულ ბრავო, სამუელი, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი, გრავესენი, ბექჰემი (სელადესი, 77), ფიგუ, სოლარი (პორტილიო, 77), გუტი (ბორხა, 85), რონალდო.

27 ტურის შემდეგ „ბარსელონას" 62 ქულა აქვს, „რეალს" — 54, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ „ესპანიოლს" — 45.

სხვა მატჩები: „ატლეტიკო" — „სევილია" 3-0, „ბეტისი" — „ხეტაფე" 2-2, „ესპანიოლი" — „ლევანტე" 2-1, „სარაგოსა" — „რასინგი" 1-0, „მალიორკა" — „სოსიედადი" 3-2, „ნუმანსია" — „ვილიარეალი" 1-1, „ბილბაო" — „ალბასეტე" 3-1, „დეპორტივო" — „მალაგა" 1-0.

მომდევნო ტური. 12-13 მარტი. „ალბასეტე" — „დეპორტივო", „ბარსელონა" — „ბილბაო", „ატლეტიკო" — „ვალენსია", „რასინგი" — „მალიორკა", „სოსიედადი" — „ნუმანსია", „ხეტაფე" — „რეალი", „ვილიარეალი" — „ესპანიოლი", „სევილია" — „სარაგოსა", „ლევანტე" — „ოსასუნა", „მალაგა" — „ბეტისი".

იტალიის სერია „ა"-ს კვლავ ორი გუნდი ლიდერობს: „მილანსა" და „იუვენტუსს" 60-60 ქულა აქვთ. კახი კალაძის „მილანმა" 27-ე ტურში სტუმრად დაამარცხა „ატალანტა" 2-1.

„მილანი": დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი, კოსტა-კურტა, ბროკი (ამბროზინი, 63), დორასო (სერჯინიო, 60), პირლო, კაკა, ტომასონი, კრესპო.

ასეთივე ანგარიშით ტურის ცენტრალურ მატჩში „იუვენტუსმა" სტუმრად დაამარცხა „რომა". ანგარიში კანავარომ გახსნა მე-11 წუთზე. მართალია, 39-ე წუთზე კასანომ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ტაიმის მიწურულს დელ პიერომ თერთმეტმეტრიანით კვლავ წინ გაიყვანა „ბებერი ქალბატონი". მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

გუნდების შემადგენლობა.

„რომა": პელიცოლი, პანუჩი, ფერარი, დელასი, კუფრე (კორეია, 85), დე როსი (მანსინი, 54), დაკური (აკვილანი, 70), პეროტა, ტოტი, მონტელა, კასანო.

„იუვენტუსი": ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, დელ პიერო (პესოტო, 57), სალაიეტა, იბრაჰიმოვიჩი (ტრეზეგე, 78).

სხვა მატჩები: „ინტერი" — „ლეჩე" 2-1, „სამპდორია" — „კიევო" 1-0, „უდინეზე" — „ბოლონია" 0-1, „მესინა" — „ლაციო" 1-0, „პარმა" — „კალიარი" 3-2, „ფიორენტინა" — „რეჯინა" 2-1, „სიენა" — „ბრეშა" 2-3, „ლივორნო" — „პალერმო" 2-2.

გერმანიის ბუნდესლიგასაც არ ჰყავს ერთპიროვნული ლიდერი, 50-50 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ „ბაიერნი" და „შალკე". 24-ე ტურში ორივე გუნდმა იმარჯვა. მიუნხენელებმა საკუთარ მოედანზე ბალაკის ერთადერთი გოლის წყალობით (1-0) დაამარცხეს ბრემენის „ვერდერი". **გუნდების შემადგენლობა.**



„ბაიერნი": კანი, სინიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, შვაინშტაიგერი (ჰარგრივზი, 84), დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი (დაისლერი, 62), ფრინგსი, ბალაკი, მაკაი, პისარო (გერერო, 55).

„ვერდერი": რინკე, სტალტერი, ისმაელი, ჰასანენი, შულცი (ჰანტი, 69), ბაუმანი (დ. იენსენი, 61), ბოროვსკი, ერნსტი, მიკუ, კლოზე (ზიდანი, 77), ვალდესი.

„შალკემ" სტუმრად 2-0 მოუგო „ბოხუმს". ანგარიში აილტონმა გახსნა 30-ე წუთზე (აღსანიშნავია, რომ ეს იყო აილტონის მე-100 გოლი ბუნდესლიგაში), 77-ე წუთზე კი თავი გამოიჩინა ლინკოლნმა. ამ მატჩში საუკეთესო იყო ლევან კობიაშვილი, რომელსაც სპეციალისტებმა ყველაზე მაღალი შეფასება დაუწერეს. კობიაშვილი „შალკეს" ყველა შეტევაში მთავარ როლს ასრულებდა. „შალკე": როსტი, კამფუისი, ბორდონი (როდრიგესი, 90), კრსტაიჩი, პანდერი, პოულსენი, კობიაშვილი, ლინკოლნი, ასამოა (ალთინთოფი, 75), სანდი (ჰანკე, 80), აილტონი.

სხვა მატჩები: „მაინცი" — „ფრაიბურგი" 5-0, „შტუტგარტი" — „არმინია" 2-1, „ჰამბურგი" — „ლევერკუზენი" 1-0, „ჰანოვერი" — „ჰანზა" 0-1, „მიონხენგლადბახი" — „ვოლფსბურგი" 1-0, „ნიურნბერგი" — „დორტმუნდი" 2-2, „ჰერტა" — „კაიზერსლაუტერნი" 1-1.

მომდევნო ტურში, 12 მარტს ერთმანეთს ლიდერები შეხვდებიან - „შალკე" მიუნხენის „ბაიერნს" უმასპინძლებს.

სხვა წყვილები: „ჰანზა" — „ბოხუმი", „ვერდერი" — „მაინცი", „ვოლფსბურგი" — ჰანოვერი", „კაიზერსლაუტერნი" — „მიონხენგლადბახი", „ლევერკუზენი" — „ჰერტა", „არმინია" — „ჰამბურგი", „დორტმუნდი" — „შტუტგარტი", „ფრაიბურგი" — „ნიურნბერგი".

საფრანგეთის ჩემპიონატის 28-ე ტურის შედეგები: „კაენი" — „ლიონი" 1-0, „ბასტია" — „ლილი" 3-1, „რენი" — „სოშო" 3-0, „ტულუზა" — „ნიცა" 1-0, პსჟ — „ნანტი" 1-0, „მონაკო" — „მეცი" 0-0, „ისტრი" — „ბორდო" 0-1, „სტრასბური" — „აიაჩო" 1-0, „ლანსი" — „ოსერი" 3-1, „სტ. ეტიენი" — „მარსელი" 2-0.

სატურნირო ცხრილში 56 ქულით პირველ ადგილზეა „ლიონი", რომელსაც 8 ქულით ჩამორჩება „მარსელი".

ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

დღეს და ხვალ გაიმართება ევროპის ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მატჩები, ხოლო ზეგ — უეფას თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური შეხვედრები. გაგაცნობთ თამაშების განრიგს ევროპული ტოტალიზატორ „ინტერვეტენის" კოეფიციენტებთან ერთად.

ჩემპიონთა ლიგა

8 მარტი	1	X	2
ჩელსი — ბარსელონა	2,10	3,00	3,10
მილანი — მანჩესტერი	1,90	3,10	3,50
ლიონი — ვერდერი	1,90	3,20	3,40
9 მარტი			
არსენალი — ბაიერნი	2,00	3,10	3,20
იუვენტუსი — რეალი 2,10	3,00	3,10	
ლევერკუზენი — ლივერპული	1,90	3,10	3,50
მონაკო — პსვ ეინდჰოვენი	1,85	3,10	3,60
უეფას თასი			
10 მარტი			
პარტიზანი — -ცსკა	2,20	3,00	2,90
შახტარი — ალკმაარი	1,75	3,20	4,00
ოლიმპიაკოსი — ნიუკასლი	1,90	3,10	3,50
სტიაუა — ვილიარეალი	2,20	3,00	2,50
აუსტრია — სარაგოსა	2,20	3,00	2,90
ლილი — ოსერი	2,00	3,10	3,20
მიდლსბრო — სპორტინგი	1,90	3,10	3,50
სევილია — პარმა	1,50	3,70	5,00

მხატვარი ფეხბურთელი „ბაიერიდან"

ლევერკუზენის „ბაიერს" ჩემპიონთა ლიგაზე უძნელესი გამეორებითი მატჩი ელის ინგლისის „ლივერპულთან". პირველი შეხვედრა გერმანულმა კლუბმა სტუმრად 1-3 წააგო. საინტერესოა, რომ 2002 წელს, ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „ბაიერმა" ასეთივე ანგარიშით იწვნია მარცხი საკუთარ მოედანზე „ლივერპულთან", მაგრამ სტუმრად 4-2 იმარჯვა და შემდგომ ეტაპზე გავიდა. „ბაიერის" ბულგარელ ფორვარდს ᲓᲘᲛᲘᲢᲐᲠ ᲑᲔᲠᲑᲐᲢᲝᲕᲡ სჯერა, რომ ისტორია განმეორდება... გთავაზობთ დიმიტარ ბერბატოვის მიერ უეფას ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუს.

◆ *თავის დროზე, 1982 წელს, თქვენმა თანამემამულემ სტოიკო მლადენოვმა, რომელიც სოფიის ცსკა-ს დირსებას იცავდა, ორი გოლი გაიტანა „ლივერპულის" კარში და ინგლისელები ჩემპიონთა თასის მაშინდელ გათამაშებას გამოთიშა. სამი წლის წინანდელ ისტორიულ მატჩში თქვენ ერთხელ აიღეთ „ლივერპულის" კარი. შეძლებთ მლადენოვის „რეკორდის" მოხსნას?*

— რატომაც არა. „ლივერპული", მართალია, ფავორიტია, მაგრამ განმეორებითი მატჩი გერმანიაში გაიმართება. „ბაიერს" მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს.

◆ *რას განიცდით, როცა გოლი გაგაქვთ?*

— უზომოდ ბედნიერი ვარ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გოლი გრანდების კარში გამაქვს...

◆ *ვის თვლით ევროპაში უძლიერეს თავდამსხმელად?*

— ჩემი ბავშვობის კერპი ჰოლანდიელი ფორვარდი მარკო ვან ბასტენი იყო. ახლაც არიან ბრწყინვალე ფეხბურთელები — რონალდო, რუუდ ვან ნისტელროი და ტიერი ანრი. ეს უკანასკნელი ისეთი სწრაფია, რომ მანქანითაც ვერ დაეწევი...

◆ *როცა ლევერკუზენის „ბაიერის" მაისურით თამაშობთ საშინაო არენაზე, ხშირად ტრიბუნაზე ჩანს ბულგარეთის დროშა...*

— როცა ამას ვხედავ, სიამაყის გრძნობა მიჩნდება. ერთხელ, როცა „სანტიაგო ბერნაბეუზე" გოლი გავიტანე მადრიდის „რეალის" კარში, დავინახე ჩემი ქვეყნის დროშა... დიახ, მადრიდშიც ბულგარელი გულშემატკივრებიც იყვნენ ჩართულები ჩემი და „ბაიერის" მხარდასაჭერად.

◆ *რა შეიცვალა ბულგარეთის ეროვნულ ნაკრებში მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხრისტო სტოიჩკოვის დანიშვნის შემდეგ?*

— სტოიჩკოვს ყველა იცნობს. მას პატივს სცემენ მთელ მსოფლიოში. ხრისტო შესანიშნავი მწვრთნელიცაა. მან მოსვლის დღიდან ბულგარეთის ნაკრებში სრულიად შეცვალა ატმოსფერო.

◆ *რა შეიძლება ისწავლოთ სტოიჩკოვისაგან?*

— უფრო მეტად, გამარჯვების ფსიქოლოგია.

◆ *ფიქრობთ თუ არა, რა უნდა აკეთოთ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ?*

— ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა. ახლა მთელი ფიქრებით ფეხბურთთან ვარ დაკავშირებული. მჯერა, რომ მთავარი წარმატებები ჯერ კიდევ წინ არის.

◆ *თქვენ კარგი მხატვარი ბრძანდებით. არ აპირებთ, ერთხელ მაინც მოაწყოთ საკუთარი ნამუშევრების გამოფენა?*

— ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ასეც მოხდეს და ამით ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყოს.

კოლინა მიდის...

მიმდინარე სეზონის ბოლოს მსოფლიო ფეხბურთიდან გააცილებენ ერთ მნიშვნელოვან ფიგურას — 45 წლის იტალიელ არბიტრს პიერლუიჯი კოლინას, რომელმაც ამ პროფესიის ადამიანებისათვის საპენსიო ასაკს მიაღწია.

არადა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა ფიფას, გაეზარდათ მსაჯების ასაკი 48 წლამდე, მაგრამ უარი მიიღო.

„თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სურს, გამონაკლისის სახით, კვლავ მისცეს კოლინას საფეხბურთო მატჩების მსაჯობის უფლება, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით. ოღონდ, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ იტალიის მასშტაბით იქნება მიღებული. საწყენია, მაგრამ უნდა ვთქვათ — კოლინა ვერ მოემსახურება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მატჩებს, — კანონს პატივი უნდა ვცეთ", — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა. ახლა ჯერი იტალიის ფეხბურთის ფედერაციაზეა. თუ ამ ქვეყანაში მსაჯების საპენსიო ასაკი არ გააგრძელეს, „ფანტომასად" წოდებულ კოლინას ახალი სამუშაო ელის — მომავალი სეზონიდან მან უნდა დანიშნოს მსაჯები იტალიის სერია „ა"-სა და სერია „ბ"-ს მატჩებში.

პიერლუიჯი კოლინას წასვლით, ფეხბურთის ისტორიაში ერთი ეტაპი მთავრდება. იმ დროს, როცა ზოგიერთ მსაჯს თამაშების „ჩაწყობაში" ადანაშაულებენ, კოლინას შეუძლია თავაწეული წავიდეს, — იგი ყოველთვის ობიექტურად მსაჯობდა. შეგახსენებთ, რომ სწორედ კოლინა იყო მოედანზე მნიშვნელოვანი მატჩების დროს, — ჩემპიონთა ლიგის ფინალში (1999 წ), მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში (2002) და უეფას თასის გათამაშების (გადამწყვეტ შეხვედრაში) — 2004 წელს.

მალხაზ ასათიანი რუსეთის სუპერთასს დაეუფლა

მოსკოვის „ლოკომოტივმა" რუსეთის სუპერთასისთვის გამართულ მატჩში მინიმალური ანგარიშით — 1-0 დაამარცხა გროზნოს „ტერეკი". ეს ერთადერთი გოლი შეხვედრის 74-ე წუთზე ლოსკოვმა გაიტანა თერთმეტმეტრიანით. ამ მატჩში „ლოკომოტივის" შემადგენლობა ასეთი იყო: ოვჩინიკოვი, ომელიანჩუკი, ლიმა, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, სიჩევი, სენიკოვი, ხოხლოვი (ბიალეტდინოვი, 46), ასათიანი, გურენკო (ბუგაევი, 20).

„ჩელსიმ" 9 წლის ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტი

ლონდონის „ჩელსის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გააფორმა 9 წლის პერსპექტიულ მოთამაშესთან — ლუის ბეიკერთან, რომელიც ბოლო პერიოდში ბავშვთა გუნდ „ლუთონში" ირიცხებოდა. ლუისის მამა — მსოფლიოს ექსგზის ჩემპიონი ძალოსნობაში ოდლი ბეიკერი მიიჩნევს, რომ მის შვილს უნიკალური ნიჭი აქვს: ლუისს თავისუფლად შეუძლია ორივე ფეხით ბურთით ჟონგლიორობა 600-ჯერ მიწაზე დაუშვებლად. ლუის ბეიკერი „ჩელსის" სელექციონერებმა ბავშვთა საფეხბურთო ტურნირის დროს შენიშნეს.

ნბა

აივერსონი ისევ ბრწყინავს



გასულ უქმეებზე ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა.

შაბათს „ლეიკერსმა" საკუთარ მოედანზე 5 ქულის სხვაობით — 108:103 დაამარცხა „დალასი". მასპინძელთა წარმატება კობი ბრაიანტის ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. ამ კალათბურთელის ანგარიშზე 40 ქულაა. აქედან 10 ქულა ბრაიანტმა ბოლო ორი წუთის განმავლობაში მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ თავის კარიერაში მან უკვე 37-ჯერ გადალახა 40-ქულიანი ზღვარი.

„სან-ანტონიომ" 102:99 მოუგო „ჩიკაგოს". გამარჯვებულთაგან თიმ დანკანმა 31 ქულა დააგროვა და 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

ბენეფისი მოიწყო ნბა-ს კიდევ ერთმა ვარსკვლავმა — ალენ აივერსონმა, რომელიც 31 ქულითა და 9 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა თავის გუნდს — „ფილადელფიას" „კლივლენდთან" გამარჯვების მოპოვებაში — 98:89.

სიეტლში ერთმანეთს ჩემპიონობის კანდიდატები — ადგილობრივი „სიეტლი" და „დეტროიტი" დაუპირისპირდნენ. მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში 8 ქულის სხვაობით იმარჯვეს — 95:87.

კვირას „ფილადელფიამ" ერთი ქულის სხვაობით დაამარცხა სტუმრად „ატლანტა" — 98:97. სტუმართა რიგებში კვლავ საუკეთესო იყო ალენ აივერსონი, რომლის ანგარიშზეა 33 ქულა. ზაზა ფაჩულიას „მილუოკმა" საკუთარ მოედანზე 95:87 დაამარცხა „ჩიკაგო". გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ „ფინიქსსა" და „პორტლენდს" შორის. მასპინძლებმა 126:115 იმარჯვეს. „ფინიქსის" რიგებში საუკეთესო იყო სტუდმაიერი (20) ქულა.

გუშინ „ლეიკერსმა" საკუთარ მოედანზე „ინდიანას" უმასპინძლა და მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 103:94. „ფინიქსმა" კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად სტუმრად „სიეტლთან" — 110:99. „სიეტლის" შემადგენლობაში აქტიურობდა რეი ალენი (20), ხოლო სტუმართა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო ჯონსონი (30).

სხვა მატჩები: „კლივლენდი" — „მაიამი" 82:102, „ნიუ იორკი" — „გოლდენ სტეიტი" 115:99, „სან ანტონიო" — „იუტა" 101:94, „ნიუ ორლეანი" — „ტორონტო" 84:95, „ბოსტონი" — „მინესოტა" 97:99, „საკრამენტო" — „დეტროიტი" 100:85, „ჰიუსტონი" — „დალასი" 90:69.

შუმახერის ეპოქა დასრულდა?

ავსტრალიის გრან-პრის გათამაშებით დაწყო „ფორმულა-1"-ის წლევანდელი სეზონი. ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო რბოლებიდან აშკარად ჩანდა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, „ფერარის" პილოტის მიხაელ შუმახერის საქმე ვერ იყო კარგად. შუმახერს ამინდმაც შეუშალა ხელი მაღალი შედეგის ჩვენებაში. ამის გამოსწორება გერმანელმა ვერც ძირითად რბოლაში მოახერხა. უფრო მეტიც, მსოფლიო ჩემპიონმა ფინიშამდე ვერ მიაღწია: 43-ე წუთზე მისი ბოლიდი ტრასიდან გადააგდო „უილიამსის" პილოტმა ნიკ ჰაიდფელდმა.

გარნპრი კი ჯანკარლო ფიზიკელამ მოიგო. „რენოს" პილოტმა კარგი შედეგები აჩვენა საკვალიფიკაციო რბოლებში და ძირითადი რბოლა პირველი პოზიციიდან დაიწყო.

მოხდა ისე, რომ სტარტზევე „მაკლარენის" ბოლიდი ვერ დაძრა კიმი რაიკონენმა, რომელსაც წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ. როცა შეჯიბრების სხვა მონაწილენი მეორე წრეზე გავიდნენ, „მაკლარენის" ინჟინრები კვლავ უკირკიტებდნენ რაიკონენის ბოლიდს. ცხადია, ამ გარემოებამ კიმი ბოლო ადგილზე გადაანაცვლა. მან ოდნავ მოახერხა სიტუაციის გამოსწორება და საბოლოოდ მე-8 ადგილზე გავიდა.

კარგად დაიწყო რბოლა „ფორმულა-1"-ის დებიუტანტის — „რედ ბულის" პილოტმა დევიდ კულტჰარდმა, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში მესამე პოზიციას ინარჩუნებდა, საბოლოოდ კი მეოთხეზე გავიდა.

დავუბრუნდეთ ჯანკარლო ფიზიკელას, მას ბოლომდე არ ჰქონია პრობლემები და დამსახურებულადაც დაიკავა პირველი ადგილი. ფიზიკელ შედეგია — 1 საათი, 24 წუთი და 17,736 წამი.

მეორე ადგილზე გავიდა მიხაელ შუმახერის თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო, ხოლო მესამეზე — „რენოს" მეორე პილოტი ფერნანდო ალონსო.

ყველასთვის ნათელი გახდა, რომ „ფერარის" მიმდინარე სეზონში ძლიერი კონკურენტი ეყოლება „რენოს" სახით.

კულტჰარდი ახალი წესებით უკმაყოფილოა

ცნობილია, რომ „ფორმულა-1"-ის ხელმძღვანელობამ ახალი წესები შემოიღო საკვალიფიკაციო რბოლებისთვის. ამასთან დაკავშირებით გუშინ უკმაყოფილება გამოთქვა „რედ ბულის" პილოტმა დევიდ კულტჰარდმა.

„მართალია, ახალი წესები ავსტრალიის გრან-პრის გათამაშებაში ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩნდა, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ. საკვალიფიკაციო ეტაპზე მე ნამდვილი რბოლის ხილვა მსურდა, ახალი წესებით კი ეს რბოლა აღარ არის."

რეიტინგები... რეიტინგები...



გუშინ გამოქვეყნდა ვტა-ს და ატპ-ს მორიგი რეიტინგები ჩოგბურთელებისათვის. ქალთა რეიტინგში კვლავ პირველ ადგილზეა ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი — 49650 ქულა. მას 75 ქულით ჩამორჩება ფრანგი ამელი მორესმო, ხოლო მესამეზეა რუსი მარია შარაპოვა — 4544.

წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში პირველი სამეული ასე გამოიყურება: სერენა უილიამსი — 1407, 2. ლინდსეი დევენპორტი — 1272, 3. მარია შარაპოვა — 1201.

ვაჟთა შორის ლიდერობს შვეიცარიელი როჯე ფედერერი (სურათზე) — 6050 ქულა. მეორეზეა — ავტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი — 3990, ხოლო მესამეზე — ამერიკელი ენდი როდიკი — 3855. როჯე ფედერერი წლევანდელ საჩემპიონო რბოლაშიც დაწინაურდა. — 250 ქულით.

ისინბაევას მეოთხე რეკორდი

მადრიდში გამართულ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე (დარბაზებისთვის), ჭოკით ხტომაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა რუსმა ელენა ისინბაევამ. მან 4 მეტრი და 90 სანტიმეტრი დაძლია. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ისინბაევას მეოთხე რეკორდი მიმდინარე წელს. ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი ელენა ისინბაევას გადასცა მისი ბავშვობის კერპმა — ლეგენდარულმა უკრაინელმა ჭოკით მხტომელმა, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა სერგეი ბუბკამ.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



8 მარტი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. საფეხბურთო მიმოხილვა (22.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ჩელსი" — „ბარსელონა" (22.45), მიმოხილვა (1.00), „მილანი" — „მანჩესტერი" (2.00). იმედი. პროგრამა „გოლი" (17.25). გოლი სერია „ა". იტალიის ჩემპიონატი (2.55). *HTB.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: ინგლისის „ჩელსი" — ესპანეთის „ბარსელონა" (22.35). *HTB плюс футбол.* ჰოლანდიის ჩემპიონატი. „აიაქსი" — „აზ-67" (13.00). თავისუფალი დარტყმა (15.40, 19.30, 21.15). ესპანეთის (15.55), საფრანგეთის (16.50) ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა. ესპანეთის ჩემპიონატი: „ვალენსია" — „რეალი" (17.45), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (19.50), იტალიის ჩემპიონატის მატჩების ~~მიმოხილვა (20.20)~~ ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.30), ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალები. იტალიის „მილანი" — ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი". საპასუხო მატჩი (22.35), ინგლისის „ჩელსი" — ესპანეთის „ბარსელონა". საპასუხო მატჩი (0.35). კალათბურთი. ნბა (3.00, 4.00, 5.30, 6.00, 8.30). *HTB плюс спорт.* წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება გრანპრი. გერმანია. ვაჟები — სინქრონული ხტომები, ტრამპლინი — 3 მეტრი. ქალები — სინქრონული ხტომები. ფინალები (11.15). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო" — „ლოკომოტივი" (12.45). ჩოგბურთი. დევისის თასი. 1-ლი რაუნდი. რუსეთი — ჩილი. გადამწყვეტი მატჩები (15.45). სპორტული ცეკვები. გრანპრი პროფესიონალთა შორის (17.50). „სპორტული გლობუსი" (21.00). ფიგურული ციგურაობა. ბრაიან ბოიტანოს შოუ (22.00). ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში (23.00). ბრძოლა წესების გარეშე (23.30). EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (11.00, 13.45). უეფა. ჩემპიონთა ლიგა. „ბედნიერი საათი" (12.00, 14.45). ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.15, 16.15). ველორბოლა. პარიზი — ნიცა (18.00). ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. მსოფლიო თასი (19.30). ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.30), ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. „ბედნიერი საათი" (21.30). ევროსპორტის ახალი ამბები (3.15). *HTB плюс. online.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. საფრანგეთის „ლიონი" — გერმანიის „ვერდერი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (22.35).

9 მარტი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. მიმოხილვა (22.00). ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი" — „რეალი" (22.45), მიმოხილვა (1.00), „არსენალი" — „ბაიერნი" (2.00). *HTB плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 20.35). ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. ინგლისის „ჩელსი" — ესპანეთის „ბარსელონა" (12.20). ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (14.15). რუსეთის თასი. მერვედფინალი. „დინამო" — „კრილია სოვეტოვი" (14.55). ჩემპიონთა ლიგა: მერვედფინალები: საფრანგეთის „ლიონი" — გერმანიის „ვერდერი" (16.50), იტალიის „მილანი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (18.45), „იუვენტუსი" — „რეალი" (22.35), საფრანგეთის „მონაკო" — ჰოლანდიის „პსვ" (0.35). კალათბურთი. ნბა (3.00, 6.00, 6.30). *HTB плюс спорт.* ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში (14.50). ჩოგბურთი. დევისის თასი. 1-ლი რაუნდის მიმოხილვა (15.20). ფიგურული ციგურაობა. ბრაიან ბოიტანოს შოუ (16.30). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. ქალები, ვაჟები. სპრინტი (17.25), სწრაფდაშვება, ვაჟები (19.25), ქალები (21.45). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. ინგლისის „არსენალი" — გერმანიის „ბავარია" (22.35). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი და ჩემპიონატები (11.00, 11.30, 12.45, 13.30, 14.30, 16.15, 19.15, 21.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.00), ყველაფერი სპორტის შესახებ. ყოველკვირეული მიმოხილვა ოთხშაბათობით (3.15). *HTB плюс. online.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.25, 14.25). ფეხბურთი: რუსეთის თასი. მერვედფინალი. „ზენიტი" — „ყუბანი" (19.55), ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. გერმანიის „ბაიერი" — „ინგლისის „ლივერპული" (22.35). ლიბერტადორესის თასი. ბრაზილიის „სან-პაულუ" — ჩილის „უნივერსიდად დე ჩილი" (3.40).

10 მარტი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (15.25). *HTB плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.00, 21.05). ლიბერტადორესის თასი. ბრაზილიის „სან პაულუ" — „უნივერსიდად დე ჩილი" (12.20), 23.00). ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალები. გერმანიის „ბაიერი" — ინგლისის „ლივერპული". საპასუხო მატჩი (14.05). ინგლისის „არსენალი" — გერმანიის „ბავარია". საპასუხო მატჩი (16.15). ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალური მატჩების მიმოხილვა (21.30). კალათბურთი. ნბა (3.00, 5.00, 5.30, 8.00). *HTB плюс спорт.* კარატე-კიოკუშინკაი. იაპონიის ჩემპიონატი (10.45). ბადმინტონი. საერთაშორისო ტურნირი (14.00). უშუ-სანდა. საერთაშორისო შეხვედრა. რუსეთი — სნგ (16.15). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატის მატჩი (18.15). ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (21.45). სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალები: ვაჟები. სუპერგიგანტი (22.15), ქალები (0.30). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი და მსოფლიო ჩემპიონატები (10.30, 11.30, 12.45, 13.45, 14.30, 15.45). საგზატკეცილო ველოსპორტი. პარიზი — ნიცა (17.00). ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.45). ევროსპორტის ახალი ამბები (1.00). ფეხბურთი: უეფას თასი. ჩეხეთი (1.15). უეფა. ჩემპიონთა ლიგა. მატჩები. დიდი ბრიტანეთი (2.15). *HTB плюс. online.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. სუპერგიგანტი. ვაჟები (11.25). ქალები. სუპერგიგანტი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (14.25).

კროსვორდი

თარაზულად: 5. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი უცხოელი მწვრთნელი, 8. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მოთამაშე, 11. ავლანჟის სახელი, 13. ფეხბურთის კარზე გაღებული ძელი, 14. ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1952) მასპინძელი ქალაქი, 15. ტანმოვარჯიშე, ჩეხი ოლიმპიური ჩემპიონი ქალის ბასაკოვას სახელი, 16. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი, 18. იაპონელი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, 20. ფარიკაობაში, კრივში სავარჯიშო ბრძოლა, 22. საფარიკაო იარაღი, 23. ქუსლის სუსტი ადგილი, 27. ლეგენდარული ფრანგი ველომრბოლი, 28. ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, ელიზბარ ...

შვეულად: 1. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 2. ავსტრიის საფეხბურთო გუნდი, 3. მისალმება კარატეში, 4. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი, 5. „ბაიერნის" ცნობილი ლეგიონერი ფეხბურთელი, 6. კიევის „დინამოს" ვეტერანი მეკარე, 7. ცნობილი შოტლანდიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 9. ძიუდოისტებით ცნობილი რაიონი კახეთის რეგიონში, 10. ირანის საფეხბ. ნაკრების მწვრთნელი 1998წ. მსოფლიო ჩემპიონატზე, 12. ცხენ-მხედართა საასპარეზო, 17. პოლონეთის საფეხბურთო გუნდი, 19. ლეგენდარული სიგრძეზე მხტომელი ვაჟი, ოლიმპიური ჩემპიონი, 21. „ლივერპულის" ყოფილი მწვრთნელი, 24. ინგლისის (II დივ.) საფეხბურთო კლუბი, 25. ჭადრაკში პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალის სახელი, 26. ესპანეთის „ალბასეტეს" ფეხბურთელი.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ბოტა, 6. ცაავა, 7. „იუტა", 9. „გურია", 10. ალექსიძე, 12. კაკა, 14. ფრეი, 16. კორნერი, 17. ჩია, 20. ტუა, 21. კიო, 22. ტაბიძე, 23. „რიზე", 24. ფინტი, 25. ჩოი.
შვეულად: 1. მარულა, 2. ცვეიბა, 4. „ოდრა", 5. სტაიერი, 7. იაქე, 8. ბერი, 11. ილარიანი, 13. კარლოსი, 15. ლიდერი, 16. კოკა, 18. ტაუ, 19. ლი, 20. ტუზი.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

№16-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლg2!

1. ..... მფh4 2. g5X, 1. ..... h4 2. ლd2X, 1. ..... hg 2. ლ:g4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com